# სარბიელი

სპორტული გაზეთი გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან სამშაბათი, 6 აგვისტო 1996 №76 (301) ფასი 40 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა



# დღეს: დინამო — მოლდე

**დღეს საღამოს რვა საათზე საქართველოს ჩემპიონი „დინამო“ უეფას თასის შესარჩევი წრის მატჩში ნორვეგიის „მოლდეს“ შეხვდება. სტუმრები გუშინწინ ჩამოვიდნენ თბილისში.**

ბადრი კეთილაძის ამ ფოტოზე ის მომენტია აღბეჭდილი, როცა ნორვეგიელმა ფეხბურთელებმა „მეტეხში“ ფული გადაცვალეს და ჩვენებურ ლარს დიდი ინტერესით დასცქერიან.

ნორვეგიის „მიოლდე“, თბილისის „დინამოს“ მოცილე უეფას თასის ოცდამეთორმეტედფინალში გასასვლელად, კვირას, საღამოს 7 საათზე ჩამოფრინდა თბილისში. აეროპორტში ბარგის გადმოტვირთვა-ჩატვირთვის პრობლემებმა გუნდი ცოტა ხანს შეაყოვნა და „მეტეხს“ ცხრას რომ წუთები აკლდა, მაშინ მიაღწია. ჩვენი საუბარი სტუმართა მთავარ მწვრთნელთან ააგე ჰარეიდესთან სასტუმროში გაიმართა. ცნობისთვის, ჰარეიდე ფეხბურთელობისას ცნობილი იყო. თამაშობდა საზღვარგარეთ, კერძოდ, ინგლისში, „მანჩესტერ სიტისა“ და „ნორვიჩ სიტიში“. იყო ნორვეგიის ნაკრების წევრი, რომელსაც 1981 წელს გამოეთხოვა. გუნდს ჩამოყოლილი გაზეთ „სუნმოერსპოსტენის“ ჟურნალისტის პოლ პეტერსენის თქმით, ჰარეიდე ჭკვიანი მწვრთნელია.

**— გაქვთ თუ არა ინფორმაცია თბილისის „დინამოს“ შესახებ?**

— დიახ, ჩვენ მოვიპოვეთ „დინამოსა“ და ლუქსემბურგის „გრევენმახერის“ თამაშის ვიდეოფირი. ასე რომ, ვნახეთ, როგორ თამაშობს თბილისის გუნდი.

**— და რა შთაბეჭდილება დაგრჩათ?**

— ძნელია ცალსახა პასუხის გაცემა, რადგან ლუქსემბურგის გუნდი ჩვენზე უფრო სუსტია. მიუხედავად ამისა, „დინამოში“ შეიმჩნევა რამდენიმე სწრაფი და მოქნილი ფეხბურთელი. ჩვენ თუ ისინი შევაჩერეთ, ესე იგი, თამაში სწორად აგვიწყვია. გარდა ამისა, აშკარად გვექნება კიდევ ერთი პრობლემა — სიცხე.

**— „მიოლდეში“ ნორვეგიის ნაკრების რამდენი ფეხბურთელია?**

— ორი მოთამაშე ეროვნულ ნაკრებში გვყავს, ორიც ოლიმპიურში.

**— გუნდის თამაშს ინდივიდუალურად ძლიერი ფეხბურთელები განსაზღვრავენ თუ კოლექტიურ სულს ანიჭებთ უპირატესობას?**

— ჩვენ ვცდილობთ, კარგი ინდივიდუალისტები შეთანხმებულად ვათამაშოთ. გვყავს სწრაფი, მაღალი დონის ფეხბურთელები. ვფიქრობ, განსხვავება ქართულ და ნორვეგიულ ფეხბურთს შორის ისაა, რომ ნორვეგიელები პირდაპირ კარისკენ მივიწევთ, სლალომებისა და ბურთის დაყოვნების გარეშე, რაც თქვენს მოთამაშეებს უფრო ახასიათებთ. სამშაბათს ჩვენ კომბინაციურ, ტაქტიკურად გამართულ მოქმედებას მივაქცევთ ძირითად ყურადღებას, რადგან სტუმრად ვთამაშობთ, თანაც ამინდის თვალსაზრისით უცხო პირობებში. ჩვენთვის მართლაც ძალიან ცხელა. ბევრი რამ იმაზე იქნება დამოკიდებული, როგორ აიტანენ ფეხბურთელები ამ კლიმატს.

**— საქართველოს ნაკრებთან შედარებით ქართული კლუბები ფრიად სუსტები არიან. ამ მხრივ ნორვეგიაში რა მდგომარეობაა?**

— ვერ დაგეთანხმებით, რომ ქართული საკლუბო ფეხბურთი დაბალი დონისაა. თბილისის „დინამო“ გაცილებით დიდი ტრადიციის გუნდია, ვიდრე ნორვეგიული კლუბები. აკი თასების თასიც აქვს მოპოვებული. ვფიქრობ, ეს ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ ნორვეგიული ფეხბურთის დონეც ამაღლდა. ამის დასტური ისაა, რომ 1994 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გავედით. თუმცა, მაინც ვთვლი, რომ ნორვეგიელებს დანარჩენი ევროპისგან ჯერ კიდევ ბევრი გვაქვს სასწავლი, უპირატესად საკლუბო დონეზე.

**— ახლა თქვენი გუნდი ნორვეგიის ჩემპიონატში რომელ ადგილზეა?**

— მესამეზე. მეორე ადგილზე მყოფს სამი ქულით ჩამოვრჩებით და ვცდილობთ საბოლოოდ ისეთ ადგილზე გავიდეთ, გაისადაც ევროთასებზე გასვლის საშუალებას რომ მოგვცემს.

**— უეფას თასის ამ გათამაშებაში სადამდე აპირებთ გაღწევას?**

— რა გითხრათ. იმედი მაქვს, შარშანდელივით პირველ ეტაპს გავივლით. შარშან თასების თასის ამ ეტაპზე, ახლა რომ ვართ, მინსკის „დინამო-93“ დავამარცხეთ. შემდეგ კი „პარი სენ-ჟერმენი“ შეგვხვდა. შინ 2:3 წავაგეთ, მაგრამ ძალიან კარგად ვითამაშეთ. შევიძინეთ უდიდესი გამოცდილება. საქმე ის გახლავთ, რომ ძლიერ ახალგაზრდა ფეხბურთელები გვყავს და მათ გამოცდილება სჭირდებათ, რასაც ევროპაში თამაშით შეიძენენ...

ზემოთ ჩვენი ნორვეგიელი კოლეგა პოლ პეტერსენი ვახსენეთ. იგი „დინამოზე“ ინფორმაციის შეგროვებით იყო დაინტერესებული, ჩვენ — „მიოლდეზე“. ამიტომაც საერთო ენა იოლად გამოვნახეთ. აი, რა შევიტყვეთ მისგან: თურმე ნორვეგიულში ლათინური ასო S იკითხება როგორც ეის, რაც ინგლისურად ტუზს ან ასს ნიშნავს. ჰოდა, მიოლდელებს სიტყვათა თამაში ჰქონიათ ასეთი, ჩვენს გუნდში სამი ეისია (სამი ასია, ან ტუზია) — ოლე გუნარ სოლსკიაერი, არილდ სტავრუმი და ოლე ბიორნ სუნდგოტიო. ასე იმიტომ ამბობენ, რომ სამივეს გვარი ზემოხსენებულ ასო S-ზე იწყება. ამ სამი ტუზიდან მეორე და მესამე



„მიოლდეს“ მწვრთნელი ააგე ჰარეიდე

თბილისშია, პირველი კი — „მანჩესტერ იუნაიტედში“. ნორვეგიის პირველობაზე, რომელიც გაზაფხულზე იწყება და შემოდგომით მთავრდება, ახლახან ორკვირიანი შესვენება ყოფილა პირველი წრის შემდეგ. ამ შესვენების განმავლობაში კი ზემოხსენებული ოლე გუნარ სოლსკიაერი, ქვეყნის ბოლო ორი პირველობის ბომბარდირი, „მიოლდეს“ 1,5 მილიონ გირვანქად თვით „მანჩესტერ იუნაიტედისთვის“ მიუყიდია. ასე რომ, ჩვენი მეტოქე თბილისს მთავარი ფორვარდის გარეშე ეწვია, თან უმისოდ თამაშში ჯერ დიდად გაწაფულები ვერ არიან. ამიტომაცაა, რომ „მიოლდეს“ სათამაშო სქემა 4-3-3, პოლის აზრით, დღეს, შესაძლოა, 4-4-2-ით შეიცვალოს.

სტუმარი გუნდის თამაშს მხოლოდ მისი ყოფილი ფორვარდი როდი განაპირობებდა. „მიოლდეში“, მოთამაშეთა გამოკითხვით 1995 წლის ქვეყნის საუკეთესო ფეხბურთელი, ნაკრების ნახევარმცველი პეტერ რუდი გამოდის. ნაკრების მეორე წევრი კი აწ უკვე „იუნაიტედის“ მოთამაშე გახლავთ. თუმცა, ყოფილა მესამეც, გუნდის მეკარე, ოღონდ ის ჯერ ახალგაზრდაა და ჯერ ეროვნული გუნდის ძირითადი მეკარეობით ვერ დაიკვეხნის. რაც შეეხებათ მწვრთნელის ინტერვიუში ნახსენებ ოლიმპიური ნაკრების ფეხბურთელებს, ისინი არიან დანიელ ბერგ ჰესტადი და ტრონდ ანდერსენი.

როდესაც კოლეგას ვკითხეთ, თქვენები კენჭისყრით კმაყოფილნი იყვნენ თუ არაო, გვიპასუხა, რომ მიოლდელებს უპირველესად შორი გზა და უცხო გარემო შეუცხადებიათ. ახლა კი, რომ ჩამოვიდნენ და აეროპორტი და სასტუმრო ნახეს, ვფიქრობ, დამშვიდდნენ — დასძინა მან.

**ილია ბაბუნაშვილი**

4 აგვისტოდან, ისევე, როგორც „გრევენმახერთან“ თამაშის წინ იყო, დინამოელებმა შეკრება დაიწყეს. ბაზის შესასვლელთან ისევ მორიგეობდა ორი პოლიციელი.

„მიოლდეს“ წინააღმდეგ სათამაშოდ ვერ გამოვა გიორგი დემეტრაძე. მან „გრევენმახერის“ კარში გოლის გატანისას მარჯვენა ფეხის კოჭი დაიზიანა, ტრავმა სერიოზული გამოდგა და გიორგიმ ხაპასუხო მატჩიც გამოტოვა და ეროვნული ჩემპიონატის პირველი ტურიც. ეს რაც შეეხება დანაკლისს. სამაგიეროდ ინგლისის პრემიერ-ლიგის „საუთჰემპტონში“ გახასინჯად მყოფი გოგიჩაიშვილი და ჯამარაული „დინამოში“ მობრუნდნენ და გუნდთან ერთად დღევანდელი თამაშისთვის ემზადებიან.

Atlanta 1996

# ოქროს სიდნეიდან ჩამოვიტან

## გვაიმედებს ელდარ კურტანიძე, ატლანტის ოლიმპიური თამაშების ბრინჯაოს მედლის მფლობელი


**მერაბ რატიშვილი**
საქართველოს ოლიმპიური გუნდის პრეს-ატაშე
ატლანტიდან




ელდარ კურტანიძეს ზუსტად ერთი წელიწადია, დამარცხება არ ეგემა. მას შემდეგ, რაც შარშან მსოფლიოს ჩემპიონატზე (აქვე, ატლანტაში) მესამე ადგილისთვის შეხვედრა წააგო, მან ათი საერთაშორისო ტურნირი და ევროპის ჩემპიონატი მოიგო. ატლანტის ოლიმპიადაზე კურტანიძე ფავორიტად ჩამოვიდა, ისევე, როგორც ირანელი რასულ ჰადემი. ჭიდაობის სამყარო 90 კგ-ში ამ ორი ფალავნის ფინალურ შეხვედრას ელოდა... ჰადემმა ფინალიც იჭიდავა და ჩემპიონიც გახდა, ელდარმა კი ჩვენთვის უსიამოვნო სენსაცია მოახდინა — მეორე წრეში დამარცხდა კორეელ კიმ იკ ჰისთან და ოქროსკენ მიმავალი გზაც გადაკეტა. საბედნიეროდ, კურტანიძემ შესანიშნავად იჭიდავა დანარჩენი შეხვედრები და მესამე ადგილზე გავიდა. უდავოდ დიდი წარმატებაა, მაგრამ არც იმის უთქმელობა იქნება, რომ ფინალი ერთი ხელის გაწვდენაზე იყო, ხოლო რა მოხდებოდა იქ, კაცმა არ იცის. თავად ვარ მოწმე, როგორ დაბნეულად იცინოდნენ კორეელი მწვრთნელები, როცა ელდარი მათ მოჭიდავესთან დამარცხდა. ერთი სიტყვით, კურტანიძე — კიმ იკ ჰის შეხვედრა ოლიმპიადის საჭიდაო ტურნირის ერთ-ერთ მთავარ სალაპარაკო თემად იქცა. ჰოდა, რა გასაკვირია, რომ ჩვენი საუბარი ქართველ ბრინჯაოს მედალოსანთან ამით დაიწყო:

— რას იზამ, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, მათ შორის მსაჯების არაობიექტურობასაც, შეხვედრა უპირველესად ჩემი შეცდომით წავაგე. თავს ვერ ვაპატიებ იმას, რომ მეტოქე ჯეროვნად ვერ შევაფასე. ძლიერი რომ ყოფილიყო, შევაფასებდი როგორც საჭიროა, მაგრამ ვინ იყო, რას წარმოადგენდა, საერთოდ არ ვიცოდი. არსად მაგას არ უჭიდავია, არცერთ ტურნირზე არ გამოჩენილა. 2:1 ვიგებდი, შენარჩუნებაზე უნდა მეფიქრა, მაგრამ ტრიალის გაკეთება გადავწყვიტე, იმან ჩემსავე ილეთზე დამხურა და ორი ქულა ჩაიწერა. ერთი სიტყვით, ჩემი შეცდომით წავაგე. ვიმეორებ, მე წავაგე და არა იმან მომიგო.

**— სამაგიეროდ, თქვენი ჭიდილი ამერიკელ დუგლასთან სამაგალითო, ლამის აკადემიური იყო...**

— დუგლასი უძლიერესი მოჭიდავეა, მსოფლიოს ჩემპიონი. ერთხელ 1993 წლის მსოფლიო ჩემპიონატის ფინალში მომიგო, მეორეჯერ შარშანდელ ჩემპიონატზე — მესამე ადგილისთვის შეხვედრა. ოლიმპიადა ამერიკაშია, ყველანაირად შეეცდებოდნენ, მისთვის, როგორც მასპინძლისთვის, შეხვედრა მოეგებინებინათ. მით უმეტეს, ერთხელ უკვე ჰქონდა წაგებული და წაგების შემთხვევაში გამოვარდებოდა. მე სხვა გზა არ მქონდა, უნდა მომეგო, თორემ მედალს ვეღარ ავიღებდი. დუგლასი ძალისმიერი მოჭიდავეა, უყვარს მეტოქის შეცდომაზე გამოჭერა — მერე ინარჩუნებს უპირატესობას და იგებს. გადავწყვიტე მის სტილში მეჭიდავა — არ ვუტევდი და მის შეცდომას ველოდებოდი. გამოვიჭირე კიდეც — ჩოქბჯენიდან დავასწარი და წამოვუდექი. ეს ერთი ქულა აღარ დავუთმე. ეს იყო ერთადერთი ტაქტიკა, რომელსაც წარმატების მოტანა შეეძლო. საერთოდ, თუკი ვინმეს დუგლასთან მოგება უნდა, ასე უნდა ეჭიდავოს. რაც მთავარია, თავის სახლში მოვუგე.

**— როდის მიხვდით, რომ ბრინჯაოს მედალს აიღებდით?**

— თავიდანვე ვიცოდი, რომ მესამე ადგილი ჩემთვის პრობლემა არ იქნებოდა. ისე, წაგებისთანავე ჩემს თავს ვუთხარი — უმედლოდ არ უნდა დარჩე-მეთქი. სხვათა შორის, მარცხი მეტად მძიმედ გადავიტანე — დიდი სტრესი განვიცადე. მთელი ღამე არ მეძინა. დილით სარკეში რომ ჩავიხედე, თავი ვერ ვიცანი, თვალები ჩასისხლიანებული მქონდა. ყველას ეგონა, ელდარი დამთავრებულია, ველარ იჭიდავებსო. მაგრამ ყველაფერი დავივიწყე და მედალი ავილე.

მთავარი ის იყო, რომ დავამტკიცე: კორეელთან შემთხვევით წავაგე. მაგრამ მეორე ადგილი აიღო. სლოვაკ ლოპინსკის რომ ეჭიდავებოდა, იმას ვნატრობდი, მოეგო, რომ მესამე ადგილისთვის კვლავ მე შემხვედროდა. შუაზე გავხევდი, მაგრამ ლოპინსკიმ მოიგო. შემდეგ კი სლოვაკი მე დავამარცხე და მესამე ადგილზე გავედი.

**— არადა, ყველა თქვენსა და ირანელი ჰადემის ფინალს ელოდა...**

— თავად ვარ მოწმე, როგორ ამბობდა ყველა — რუსიც, ირანელიც, ამერიკელიც და აბსოლუტურად ყველა — ფინალში ქართველი და ირანელი იჭიდავებენო. ირანის მთავარმა მწვრთნელმა კი მითხრა, თუკი ვინმე რასულს მოუგებს, ერთადერთი შენა ხარო. ჰადემი დიდი მოჭიდავეა. მასთან საჭიდაოდ ტაქტიკაც მქონდა მზად, მაგრამ ვინ მიგიშვა იქამდე? მოხდა ის გაუთვალისწინებელი, რაც მხოლოდ ოლიმპიადაზე შეიძლება მოხდეს. კორეელთან წაგებას ვგულისხმობ. ეგეთი სასწაულები მხოლოდ ოლიმპიადებზე ხდება. გამორიცხულია, ეს დაგემართოს მსოფლიოს ან ევროპის ჩემპიონატზე, ანაც რომელიმე ტურნირზე. ოლიმპიადა სულ სხვაა. რამდენი მოჭიდავეა, ყველაფერს ანგრევს, მაგრამ ოლიმპიადას ვერ იგებს. აგერ მაგალითიც: ბულგარელი ვალენტინ იორდანოვი. ეს კაცი 7-გზის მსოფლიოს ჩემპიონია, მაგრამ ოლიმპიადა მოგებული არ ჰქონდა. ახლა, ატლანტაში, როგორც იქნა მოიგო, უფრო სწორად, მოაგებინეს. ფინალში ყველაფერი გააკეთეს, რათა აზერბაიჯანელი აბდულაევი დაეჩაგრათ და იორდანოვი ჩემპიონად გაეხადათ.

**— რომელ შეხვედრას გამოარჩევდით კიდევ?**

— უკრაინელ ძამბოლათ თედეევთან. სხვათა შორის, იგი ცხინვალელი ბიჭია, მაგრამ ადრე არ ვიცნობდი — მე რომ ჭიდაობაზე სიარული დავიწყე, იგი უკვე ძლიერი იყო. ჰოდა, თედეევმა 1993 წლის ევროპის ჩემპიონატის ფინალი მომიგო. ბოღმა მქონდა და ჯავრი ვიყარე — 10:4 მოვუგე.

**— ალბათ იმაზე გული გწყდებათ, რომ მახარბეკ ხადარცევი, ვისაც წელს ორჯერ მოუგეთ, თქვენზე წინ, მეორე ადგილზე აღმოჩნდა...**



— მე თუ მკითხავთ, მეორე ადგილს მესამე სჯობს. მეორე ადგილს რომ იღებ, ფინალს აგებ და შეჯიბრებას წაგებით სტოვებ. მესამე რომ აიღო, ამისთვის ბოლო შერკინება უნდა მოიგო. მართალი გითხრათ, ჩემთვის სულერთი იყო — მეორე ვიქნებოდი თუ მესამე. მთავარია — ჩემპიონი ვერ გავხდი. რაც შეეხება ხადარცევს — დაბერდა მახარბეკი. ველარ ჭიდაობს ძველებურად. ჰადემმა ფინალში მესამედ მოუგო — თანაც სულ ერთი და იგივე ფანდით.

**— კეთილი, მაგრამ ოლიმპიადა თქვენი კარიერის ბოლოდ ალბათ არ უნდა ჩაითვალოს?**

— რა თქმა უნდა, არა. 2 000 წლის სიდნეის ოლიმპიადა იქნება ჩემი კარიერის ბოლო. მინდა ჩემი კარიერა ოქროს წერტილით დავამთავრო. ეს ოლიმპიური ოქრო უნდა იყოს. მაგრამ ატლანტაში დაშვებულ შეცდომას გაისადვე გამოვასწორებ — წინ მსოფლიო ჩემპიონატია.

**— თუ საიდუმლო არ არის, მესამე პრიზიორისთვის განკუთვნილ პრემიას როგორ გამოიყენებთ?**

— მყავს ოჯახი, რომელსაც მოვახმარ მთელს ფულს. სახლს და ოჯახს უნდა მივხედო. დიდი მადლობა იმ ხალხს, ვინც ეს პრემიები დააწესა. მაგრამ მთავარი ეს არ არის. მე ვნახე, რომ ჩვენი ხალხი მიხვდა — ასეთი ძნელბედობის და გაჭირვების ჟამს ოლიმპიურ თამაშებზე ბრინჯაოს მოპოვება დიდი წარმატებაა. ამან დიდი იმედი მომცა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## დღე მეთხუთმეტე
პარასკევი 2 აგვისტო

### მძლეოსნობა

ვაჟები. 3000 მეტრი წინაღობებით
1. ჯოზეფ კეტერი (კენია) 8.07,12
2. მოუზეს კიპტანუი (კენია) 8.08,33
3. ალესანდრო ლამბრუსკინი (იტალია) 8.11,28

50 კმ სიარული
1. რობერტ კოჟენიოვსკი (პოლონეთი) 3:43.20
2. მიხაილ შჩენნიკოვი (რუსეთი) 3:43.46
3. ვალენტინ მასანა (ესპანეთი) 3:44.19

ჭოკით ხტომა
1. ჟან გალფიონი (საფრანგეთი) 592 სმ
2. იგორ ტრანდენკოვი (რუსეთი) 592
3. ანდრეი ტივონჩიკი (გერმანია) 592

ქალები. სიგრძეზე ხტომა
1. ჩიომა აჯუნვა (ნიგერია) 712 სმ
2. ფიონა მეი (იტალია) 702
3. ჯეკი ჯოინერ-კერსი (აშშ) 700

ბირთვის კვრა
1. ასტრიდ კუმბერნუსი (გერმანია) 20,56 მ
2. სუი სინმეი (ჩინეთი) 19,88
3. ირინა ხუდოროჟკინა (რუსეთი) 19,35

### მშვილდოსნობა

ვაჟები. გუნდური
1. აშშ (ჯასტინ ჰიში, რიჩარდ ჯონსონი, როდ ვაითი)
2. კორეა
3. იტალია

ქალები. გუნდური
1. კორეა (კიმ ჯო სანი, იუნ ჰი იანგი, კიმ კიუნგ ვუკი)
2. გერმანია
3. პოლონეთი

### წყალში ხტომა

ვაჟები. კოშკურა
1. დმიტრი საუტინი (რუსეთი) 692,34 ქულა
2. იან ჰემპელი (გერმანია) 663,27
3. სიაო ჰაილიანგი (ჩინეთი) 658,20

### მხატვრული ტანვარჯიში

ქალები. გუნდური
1. ესპანეთი (მართა ბალდო, ნურია კაბანილასი, ესტელა ხიმენესი, ლორენა გერენდესი, ტანია ლამარკა, ესტიბალიზ მარტინესი) 38,933 ქულა
2. ბულგარეთი 38,866
3. რუსეთი 38,665

### სინქრონული ცურვა

ქალები. გუნდური
1. აშშ (ტემი კლილენდი, ბექი დიროენ-ლანსერი, ჰიზერ პიზი, ჯილ სეივერი, ნატალი შნაიდერი, ჯილ სადათი, ჰიზერ სიმონს-კარასკო, სუზანა ბიანკო) 99,720 ქულა
2. კანადა 98,367
3. იაპონია 99,753

### თავისუფალი ჭიდაობა

52 კგ
1. ვალენტინ იორდანოვი (ბულგარეთი)
2. ნამიკ აბდულაევი (აზერბაიჯანი)
3. მაულონ მამიროვი (ყაზახეთი)

62 კგ
1. თოი ბრენდსი (აშშ)
2. იანგ ჯასუნგი (კორეა)
3. ელბრუს თედეევი (უკრაინა)

74 კგ
1. ბოვაისა სატიევი (რუსეთი)
2. პარკ იანგ-სუნი (კორეა)
3. ტაკია ოტა (იაპონია)

90 კგ
1. რასულ ხადემი (ირანი)
2. მახარბეკ ხადარცევი (რუსეთი)
3. ელდარ კურტანიძე (საქართველო)

130 კგ
1. მაჰმუთ დემირი (თურქეთი)
2. ალექსეი მედვედევი (ბელარუსი)
3. ბრუს ბაუმგარტნერი (აშშ)

### აფროსნობა

სოლინგი
1. გერმანია (იოხენ შუმანი, თომას ფლახი, ბერნდ იეკელი)
2. რუსეთი
3. აშშ

### ბალახის ჰოკეი

ვაჟები
1. ჰოლანდია
2. ესპანეთი
3. ავსტრალია

### კეტბურთი

1. კუბა
2. იაპონია
3. აშშ

### ჩოგბურთი

ქალები
1. ლინდზი დავენპორტი (აშშ)
2. არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი)
3. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)

ვაჟი წყვილები
1. თოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი (ავსტრალია)
2. ნილ ბროდი და თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი)
3. მარკ გელნერი და დავიდ პრინოსილი (გერმანია)



რუსმა მასტერკოვამ 800 მეტრზე მუტოლასა და კიროტის ჯობნის შემდეგ 1500 მეტრზეც გაიმარჯვა



ესტაფეტაში ისეთი იყო კანადელთა უპირატესობა, რომდო ნოვან ბეილიმ ბოლო მეტრები ხელაწეულმა გაირბინა

## დღე მეთექვსმეტე
შაბათი 3 აგვისტო

### მძლეოსნობა

ვაჟები. 4 X 100 მ ესტაფეტა
1. კანადა (რობერტ ესმი, გლენროი გილბერტი, ბრუნი სურინი, დონოვან ბეილი) 37,69
2. აშშ 38,05
3. ბრაზილია 38,41

4 X 400 მ ესტაფეტა
1. აშშ (ლემონთ სმითი, ალვინ ჰარისონი, დერიქ მილზი, ანტუან მეიბენქი) 2.55,99
2. ბრიტანეთი 2.56,60
3. იამაიკა 2.59,42

1500 მეტრზე სირბილი
1. ნურადინ მორსელი (ალჟირი) 3.35,78
2. ფერმინ კაჩო (ესპანეთი) 3.36,40
3. სთივენ კიპკორირი (კენია) 3.36,72

5000 მ
1. ვენუსტე ნიანგაბო (ბურუნდი) 13.07,96
2. პოლ ბიტოკი (კენია) 13.08,16
3. ხალიდ ბულამი (მაროკო) 13.08,37

შუბის ტყორცნა
1. იან ჟელეზნი (ჩეხეთი) 88,16 მ
2. სთივ ბაქლი (ბრიტანეთი) 87,44
3. სეპო რეტი (ფინეთი) 86,98

ქალები. 4 X 100მ ესტაფეტა
1. აშშ (ქრისთი გეინსი, გეილ დივერსი, გვენ თორენსი, ინგე მილერი) 41,95
2. ბაჰამაზი 42,14
3. იამაიკა 42,24

4 X 400 მ ესტაფეტა
1. აშშ (როშელ სთივენსი, მაისლ მელოუნი, კიმ გრეში, ჯირლ მაილზი) 3.20,91
2. ნიგერია 3.21,04
3. გერმანია 3.21,14

1500 მ
1. სვეტლანა მასტერკოვა (რუსეთი) 4.00,83
2. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 4.01,54
3. ტერეზია კიზლი (ავსტრია) 4.03,02

სიმაღლეზე ხტომა
1. სტეფკა კოსტადინოვა (ბულგარეთი) 205 სმ
2. ნიკი ბაკოლიანი (საბერძნეთი) 203
3. ინა ბაბაკოვა (უკრაინა) 201

### ველოსპორტი

სიჩაუქის გამოცდა
ვაჟები
1. მიგელ ინდურაინი (ესპანეთი)
2. აბრამ ოლანო (ესპანეთი) ჩამორჩა 12 წამით
3. ქრის ბორდმენი (ბრიტანეთი) 31 წმ

ქალები
1. ზულფია ზაბიროვა (რუსეთი)
2. ჟანი ლონგო-სიპრელი (საფრანგეთი) 20 წმ
3. კლარა ჰიუზი (კანადა) 33 წმ

### კრივი

48 კგ
1. დანიელ პეტროვი (ბულგარეთი)
2. მანსეტო ველასკო (ფილიპინები)
3. ოლეგ კირიუხინი (უკრაინა) და რაფაელ ლოსანო (ესპანეთი)

54 კგ
1. იშტვან კოვაჩი (უნგრეთი)
2. არნალდო მესა (კუბა)
3. რაიმკულ მალახბეკოვი (რუსეთი) და ვიჩაირაჩანონ ხადპო (ტაილანდი)

60 კგ
1. ჰოჯინ სოლთანი (ალჟირი)
2. ტონჩო ტონჩევი (ბულგარეთი)
3. თერენს კოთენი (აშშ) და ლეონარდ დოროფტეი (რუმინეთი)

67 კგ
1. ოლეგ საიტოვი (რუსეთი)
2. ხუან ერნანდესი (კუბა)
3. მარიან სიმიონი (რუმინეთი) და დანიელ სანტოსი (პუერტო-რიკო)

75 კგ
1. არიელ ერნანდესი (კუბა)
2. მალიქ ბეილეროღლუ (თურქეთი)
3. მოჰამედ ბაჰარი (ალჟირი) და როშილ ველსი (აშშ)

91 კგ
1. ფელიქს სავონი (კუბა)
2. დავიდ დეფიაგბონი (კანადა)
3. ნეით ჯოუნზი (აშშ) და ლუან კრასნიხი (გერმანია)

### ცხენოსნობა

ცხენის გაწვრთნა. პირადი
1. იზაბელ ვერთი (გერმანია) 235,09 ქულა
2. ანკი ფანჰრუნსვენი (ჰოლანდია) 233,02
3. სვენ როთენბერგერი (ჰოლანდია) 224,94

### ნიჩბოსნობა და კანოე

ვაჟები. ერთადგილიანი. 1000 მ
1. მარტინ დოქტორი (ჩეხეთი)
2. ივან კლემენტიევი (ლატვია)
3. დიერდ ზალა (უნგრეთი)

ორადგილიანი. 1000 მ
1. გერმანია (ანდრეას დიტმერი, გუნარ კირხბახი)
2. რუმინეთი
3. უნგრეთი

ბაიდარა. ერთადგილიანი. 1000 მ
1. კნუტ ჰოლმანი (ნორვეგია)
2. ბენიამინო ბონომი (იტალია)
3. კლინტ რობინსონი (ავსტრალია)

ორადგილიანი. 1000 მ
1. იტალია (ანტონიო როსი, დანიელე სკარპა)
2. გერმანია
3. ბულგარეთი

ოთხადგილიანი. 1000 მ
1. გერმანია (დეტლეფ ჰოფმანი, ოლაფ ვინტერი, თომას რაინეკი, მარკ ცაბელი)
2. უნგრეთი
3. რუსეთი

ქალები
ოთხადგილიანი. 500 მ
1. გერმანია (რამონა პორტვიხი, მანუელა მუკე, ბირგიტ ფიშერი, ანეტ შუკი)
2. შვეიცარია
3. შვედეთი

### კალათბურთი

ვაჟები
1. აშშ
2. იუგოსლავია
3. ლიტვა

### ფრენბურთი

ქალები
1. კუბა
2. ჩინეთი
3. ბრაზილია

### ხელბურთი

ქალები
1. დანია
2. კორეა
3. უნგრეთი

### ფეხბურთი

ვაჟები
1. ნიგერია
2. არგენტინა
3. ბრაზილია

### ჩოგბურთი

ვაჟები
1. ანდრე აგასი (აშშ)
2. სერხი ბრუგერა (ესპანეთი)
3. ლეანდერ პაესი (ინდოეთი)

ქალი წყვილები
1. მერი-ჯო და ჯი-ჯი ფერნანდესები (აშშ)
2. ჰელენა სუკოვა და იანა ნოვოტნა (ჩეხეთი)
3. არანჩა სანჩეს-ვიკარიო და კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი)



1500 მეტრზე სირბილის დროს მაროკოელი ჰიშამ ალ გერუჯი დაეცა, ალჟირელმა ნურადინ მორსელიმა და სხვებმა კი გვერდი აუქციეს



კუბელი მძლეთამძლე ფელიქს სავონი

## დღე მეჩვიდმეტე და უკანასკნელი

კვირა 4 აგვისტო

### მძლეოსნობა

ვაჟები. მარათონი

1. ჯოზაია თუგვანე (სამხრეთ აფრიკა) 2:12.36
2. ბონგ ჯუ ლი (კორეა) 2:12.39
3. ერიკ ვაინაინა (კენია) 2:12.44

### ცხენოსნობა

კონკური. პირადი

1. ულრიხ კირხჰოფი (გერმანია)
2. ვილი მელიგერი (შვეიცარია)
3. ალექსანდრა ლედერმანი (საფრანგეთი)

### კრივი

51 კგ

1. მაიკრო რომერო (კუბა)
2. ბოლათ ჯუმადილოვი (ყაზახეთი)
3. ალბერტ პაკეევი (რუსეთი) და ზოლტან ლუნკა (გერმანია)

57 კგ

1. სომლუკ კამსინგი (თაილანდი)
2. სერაფიმ ტოდოროვი (ბულგარეთი)
3. პაბლო ჩაკონი (არგენტინა) და ფლოიდ მეივეზერი (აშშ)

63,5 კგ

1. ექტორ ვინენტი (კუბა)
2. ოქთაი ურქალი (გერმანია)
3. ბოლათ ნიაზიმბეთოვი (ყაზახეთი) და ფეთი მისავი (ტუნისი)

71,5 კგ

1. დევიდ რიდი (აშშ)
2. ალფრედო დუვერხელი (კუბა)
3. ქარიმ თულაგანოვი (უზბეკეთი) და ერმახან იბრაიმოვი (ყაზახეთი)

81 კგ

1. ვასილი ჟიროვი (ყაზახეთი)
2. სენგ ბაო ლიი (კორეა)
3. ანტონიო ტარვერი (აშშ) და თომას ულრიხი (გერმანია)

91 კგ

1. ვლადიმირ კლიჩკო (უკრაინა)
2. პაეა ვოლფგრამი (ტონგა)
3. ალექსეი ლეზინი (რუსეთი) და დანკან დოკივარი (ნიგერია)

### მხატვრული ტანვარჯიში

ქალები. მრავალჭიდი

1. ეკატერინა სერებრიანსკაია (უკრაინა) 39,683 ქულა
2. იანინა ბატირჩინა (რუსეთი) 39,382
3. ელენა ვიტრიჩენკო (უკრაინა) 39,331

### კალათბურთი

ქალები

1. აშშ
2. ბრაზილია
3. ავსტრალია

### ფრენბურთი

ვაჟები

1. ჰოლანდია
2. იტალია
3. იუგოსლავია

### ხელბურთი

ვაჟები

1. ხორვატია
2. შვედეთი
3. ესპანეთი

### ფრენბურთი

ვაჟები.

ნახევარფინალი. ჰოლანდია — რუსეთი 3:0 (15:6, 15:6, 15:10)

ჰოლანდიელებმა წელს რუსეთს სისხლი გაუშრეს. რუსების საუკეთესო თავდამსხმელებმა დინეიკინმა და ფომინმა ვერც ამჯერად გაარღვიეს ჰოლანდიელთა ბლოკი — ვან დე გოორი და ჰელდი და მთელი მატჩის მანძილზე განწირულები ჩანდნენ. ჰოლანდიელებს კი ყველაფერი გამოსდიოდათ და ადვილადაც გაიმარჯვეს.

იტალია — იუგოსლავია 3:1 (15:12, 8:15, 15:6, 15:7)

იუგოსლავებმა ოლიმპიურ და მსოფლიო ჩემპიონებს ერთი ხელი კი მოუგეს და მეტიც სცადეს, მაგრამ იტალიელთა შესანიშნავი გუნდის დამარცხება მათ ძალებს აღემატებოდა. ბოლო პარტიაში, 13:4-ზე, იუგებმა სცადეს მატჩის შემობრუნება, რამდენიმე ბურთი ჩააგდეს და მეტოქე კარგა ხანს 13-ზე „გაყინეს", მაგრამ ჩემპიონებს მობეზრდათ ამის ყურება და ანდრეა ჯანიმ და სამუელე პაპიმ წერტილი დაუსვეს მეტოქეთა წვალებას.

მე-3 ადგილისთვის. იუგოსლავია — რუსეთი 3:1 (15:8, 7:15, 15:8, 15:9). იუგოსლავმა ფრენბურთელებმა ამ ოლიმპიადაზე მეორედ დაამარცხეს რუსეთის ნაკრები. რუსებმა ვერაფერი მოუხერხეს ვლადიმერ გრიბჩისა და ჯურიჩის ძლიერ დარტყმებს. რუსების საქვეყნოდ ცნობილმა ლიდერებმა დინეიკინმა და ფომინმა მხოლოდ მეორე პარტიაში შეძლეს ასე თუ ისე კარგი თამაშის ჩვენება. ერთ დროს მსოფლიო ფრენბურთის ლიდერს რუსეთის ნაკრებს უკვე მე-3 პოზიციაზეც აღარ აყენებენ მსოფლიოში.

ფინალი. ჰოლანდია — იტალია 3:2 (15:12, 9:15, 16:14, 9:15, 17:15)

ეს ორი გუნდი წელს აშკარად აღემატება დანარჩენთ. მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონებმა ჰოლანდიელებმა წელს მსოფლიო ლიგის თასის ფინალში მოუგეს თითქმის დაუმარცხებელ იტალიელებს. თუმცა, ჯგუფურ ტურნირში, უკვე აქ, ოლიმპიადაზე იტალიელებმა სასტიკი რევანში აიღეს — 3:0-ზე ძალზე ადვილად მოუგეს. თუმცა ეს მაინც ჯგუფური ტურნირი იყო. ფინალში კი მეტად დაძაბულ თამაშში ჰოლანდიელებმა დაამარცხეს სუპერგუნდი და პირველად გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები.

ქალები.

მე-3 ადგილისთვის. ბრაზილია — რუსეთი 3:2 (15:13, 4:15, 16:14, 8:15, 15:3)

რუსები ბევრს კი ეცადნენ ბრინჯაოს მედალი მოეპოვებინათ, მათმა მწვრთნელმა კარპოლმაც უბოდიშოდ ლანძღა და აგინა თავის შეგირდ ქალებს, მაგრამ ბრაზილიელებმა იმ დღეს მაინც დაჯაბნეს რუსები.

ფინალი. კუბა — ჩინეთი 3:1 (14:16, 15:12, 17:16, 15:6)

კუბელები ოლიმპიადის წინ ფავორიტებად ითვლებოდნენ, მაგრამ ჯგუფში ორჯერ დამარცხდნენ და ჩინელებს უფრო ფასი დაედოთ. დაძაბული ფინალის ბედი ბევრად გადაწყვიტა მირეა ლუისის ბრწყინვალე თამაშმა.

### ბალახის ჰოკეი

ვაჟები

მე-3 ადგილისთვის. ავსტრალია — გერმანია 3:2

წინა ოლიმპიადის ჩემპიონი გერმანელები საერთოდ უმედლოდ დარჩნენ. ავსტრალიელებმა მშვენივრად ითამაშეს და უკანასკნელ წუთებში ჩიფის გატანილი გოლით დაამარცხეს გუნდი, რომელიც ტურნირის დაწყებამდე ფავორიტად მიაჩნდათ.

ფინალი. ჰოლანდია — ესპანეთი 3:1

ორივე გუნდმა ოლიმპიადაზე ძალიან კარგად ითამაშა, ამიტომ ფინალში ყველა დაძაბულ ბრძოლას ელოდა. პირველი ტაიმი ფრთხილი იყო, სახიფათო მომენტებიც არ შექმნილა და შედეგიც, ბუნებრივია, შესაფერისი გახლდათ 0:0. მეორე ტაიმის დასაწყისში ესპანელმა ვიქტორ პუხოლმა გახსნა ანგარიში. თითქოს ამას უცდიდნენო, ჰოლანდიელები ჩინებულად ათამაშდნენ და მთელი მეორე ტაიმი ესპანელთა კარს არ მოსცილებიან. მალე ბოველანდერმა კუთხური საჯარიმოდან ანგარიში გაათანაბრა. სამი წუთის შემდეგ კი მანვე მეორე, მსგავსი გოლი გაიტანა. დაწინაურებულები შეტევას განაგრძნობდნენ და მატჩის მიწურულს, კუთხურისას, როდესაც ესპანელთა ყურადღება ბოველანდერზე იყო გადატანილი, ჰოლანდიელებმა ლომანსს გაუგორეს და მანაც მესამე გაიტანა. ჰოლანდიელები პირველად გახდნენ ოლიმპიური ჩემპიონები.

### კეტბურთი.

მე-3 ადგილისთვის. აშშ — ნიკარაგუა 10:3

ფინალი. კუბა — იაპონია 13:9.

კუბამ შეინარჩუნა ბარსელონაში მოპოვებული ტიტული.

### კალათბურთი

ვაჟები.

მე-3 ადგილისთვის.

**ლიტვა — ავსტრალია 80:74**

**ლიტვა:** მინდაუგას ჟუკაუსკასი (4), კურტინაიტისი (9), კარნიშოვასი (21), მარჩულიონისი (16), საბონისი (30), ლუკმინასი, შტომბერგასი, ეინგკისი.

**ავსტრალია:** რონალდსონი (7), გეიზი (25), ჰილი (11), ბრადკე (13), ვლაჰოვი (4), ჯიშერი (13), დოჯი (2)

ლიტველებმა, ისევე როგორც წინა ოლიმპიადაზე, კვლავ ბრინჯაოს მედლები დაიმსახურეს. მატჩის ბედი გადაწყდა ფარისთვის ბრძოლაში, სადაც საბონისი ბატონობდა. განთქმული ლიტვური ტრიო — საბონისი, კურტინაიტისი, მარჩულიონისი, რომელთაც ახალი თაობიდან მხოლოდ კარნიშოვასი უწევს სრულფასოვან პარტნიორობას, უმედლოდ მაინც არცერთ ტურნირზე არ რჩება.

ფინალი:

**აშშ — იუგოსლავია 95:69**

**აშშ:** მილერი (20), პეიტონი (2), მელოუნი, ოლაჯოუნი (5), რობინსონი (28); ბარკლი (8), ჰარდევეი (17), პიპენი (4), რიჩმონდი (5), სტოქტონი (4), ო ნილი (2)

**იუგოსლავია:** ბოდიროგა (13), დანილოვიჩი (9), ჯორჯევიჩი (13), პასპალი (19), დივაცი (4); ობრადოვიჩი (6), რებრაჩა (4), ტომაშევიჩი (1), ტოპიჩი, ლონჩარი

რა თქმა უნდა, იუგოსლაველები გამოცდილი და ცნობილი ოსტატები არიან და იციან, რომ ამერიკელებს დღესდღეობით ვერ მოუგებ. მაგრამ ვაჟკაცური ბრძოლა კი გაუმართეს. მთელმა ხუთეულმა ისე დაიწყო თამაში, რომ ამერიკელები, ცოტა არ იყოს, შედრკნენ, უფრო სწორად, ისინი შეაცბუნა ასეთმა მოულოდნელმა წინააღმდეგობამ. საკმარისია ითქვას, რომ განთქმულმა კარლ მელოუნმა 10 წუთი დაჰყო მოედანზე და თავის გუნდს ქულაც ვერ შესძინა. თანაგუნდელებს იუგოსლავი უკანახაზელები ბოდიროგა, დანილოვიჩი და ჯორჯევიჩი მიუძღოდნენ, მათ პასპალიც აჰყვა, დივაცი კი ჩინებული იყო დაცვაში. ამდენი ხნით ამერიკელებთან არავინ დაწინაურებულა. მეთხუთმეტე წუთზე 32:27 იყო იუგოსლავთა სასარგებლოდ! კმარაო, თქვეს ამერიკელებმა, პირველ რიგში კი ჰარდევეიმ და რობინსონმა და რაღაც სამ წუთში თავისი გუნდი 41:33 დააწინაურეს, იუგოსლავებმა ბოლომდე იბრძოლეს და პირველი ტაიმი მხოლოდ ხუთი ქულით წააგეს — 38:43.

მეორე ტაიმში იუგოსლავები ცდილობდნენ ძალზე წინ არ გაეშვათ მეტოქე, მაგრამ ჩანდა, რომ ეს მათ ნებისყოფის უდიდესი დაძაბვის ხარჯზე უხდებოდათ და დიდხანს ვერ გაძლებდნენ. ასეც მოხდა. 50:51-ზე მოედანი დატოვა დივაცმა და ფარზე ამერიკელების უპირატესობა აშკარა გახდა. როდესაც მე2 ტაიმის მე8 წუთზე ჰარდევეიმ ჰაერში დაიჭირა ბურთი, კალათში ჩატენა და ანგარიში 65:55 გახდა, ნათელი შეიქნა, რომ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა. რობინსონის, მილერის, რიჩმონდის და მათი თანაგუნდელების შემჩერებელნი იუგოსლავები აღარ იყვნენ.

ქალები.

მე-3 ადგილისთვის. ავსტრალია — უკრაინა 66:56

ფინალი. აშშ — ბრაზილია 111:87

ორგზის ოლიმპიური ჩემპიონებისა და მსოფლიო ჩემპიონების მატჩი თავბრუდამხვევ ტემპში დაიწყო. ბრაზილიელთა ბრწყინვალედ განხორციელებულ შეტევებს ამერიკელები არანაკლებ ბრწყინვალედ პასუხობდნენ



ამერიკელთა ცენტრი ჰაკიმ ოლაჯოუნი უფარებს იუგოსლაველ დეიან ბოდიროგას

და გულშემატკივრები ულამაზესი სანახაობის მომსწრე გახდნენ. მაგრამ არავითარი დაცვა არ არსებობდა. ამერიკელები უფრო ადრე მიხვდნენ ამას და უფრო ყურადღებით ათამაშდნენ, ბრაზილიელთა ლიდერს ჰორტენზია მარკარი ოლივას პერსონალური მცველი მიუჩინეს, შორიდან სატყორცნი მისადგომებიც ჩაკეტეს და თავდასხმას კი კვლავ სწრაფი ტემპით განაგრობდნენ. ბრაზილიელებისთვის ეს მოულოდნელი აღმოჩნდა, მხოლოდ მარტა საბრალი განაგრძობდა უწინდებურად თამაშს. ამერიკელებმა სულ სამ წუთში 26:24 41:26-ზე აიყვანეს.

პირველ ტაიმი ქალთა კალათბურთისთვის დიდი ანგარიშით — 57:46 დამთავრდა.

მეორე ტაიმში ამერიკელთა უპირატესობა აშკარა იყო. ის, რასაც მოედანზე ტერეზა ედვარდსი, ლაიზა ლესლი, ვენუს ლეისი და რუთ ბოლტონი აკეთებენ, ბევრ ვაჟს შეშურდება. ამერიკელთა მიერ გამართულ კონცერტში ალაგ-ალაგ ბრაზილიელთა ულამაზესი კომბინაციებიც ჩაერთვებოდა ხოლმე. ამერიკელები ოლიმპიური ჩემპიონები გახდნენ. მათი გუნდი კოლეჯის სტუდენტებითაა დაკომპლექტებული და თუ სტუდენტები ასეთ დონეზე თამაშობენ, როგორიღა იქნება ქალთა პროფესიული ლიგა (რომლის შექმნასაც ამერიკელები აპირებენ).

აქ დაგვიმთავრებლით ოლიმპიურ კალათბურთზე საუბარს, რომ არა უნიკალური შემთხვევა. მე-5 ადგილისთვის შეხვედრაში რუსებსა და კუბელებს შორის კუბელმა ქალებმა ყველას დაანახეს, რომ მარტო მათი თანამემამულე ვაჟები არ არიან კრივში ძლიერები. შუა თამაშში ჯერ მარია ლეონმა ქულებით მოუგო ბარანოვას, შემდეგ კი მარია ვეგალმა აშკარა ნოკაუტით დაამარცხა სუმნიკოვა. ვეგალი მოედნიდან გააძევეს. რუსებმა 6 ჯარიმა ზედიზედ ისროლეს და მე-5 ადგილიც დაისაკუთრეს.

### ხელბურთი

ვაჟები.

ნახევარფინალები. ხორვატია — საფრანგეთი 23:20

მსოფლიო ჩემპიონმა ფრანგებმა ისე კარგად ჩაატარეს ოლიმპიური ტურნირი (მათ ჯგუფში ბოლო ტურის წინ გაინაღდეს პირველი ადგილი), რომ ამ შემთხვევაში გამარჯვებას მათ უწინასწარმეტყველებდნენ. მაგრამ ხორვატებმა შესანიშნავად ითამაშეს. მეტოქეები ერთმანეთს მხოლოდ ერთი-ორი ბურთით უშვებდნენ წინ. ასე მივიდნენ მეორე ტაიმში 16:16-მდე როცა მოულოდნელად ხორვატებმა თამაშის სწრაფი ტემპი კიდევ უფრო გაზარდეს. მიკელიჩმა, პერკოვაცმა, ჯოვიჩმა და ისევ მიკელიჩმა ზედიზედ ხუთი უპასუხო გოლი გაიტანეს — 21:16. მატჩის ბედი გადაწყვეტილი იყო. მსოფლიო ჩემპიონები ფინალის მიღმა დარჩნენ.

შვედეთი — ესპანეთი 25:20

შვედების შეჩერება ამ ტურნირზე, როგორც ჩანს, შეუძლებელია. ისინი შესანიშნავად თამაშობენ, თავიდანვე დიდ უპირატესობას აღწევენ და ყველა შეხვედრას ქულათა სოლიდური მარაგით იგებენ. სკანდინაველები მეტოქეს დიდი თავსატეხს უჩენენ — ყველა მათგანი ხნაიპერია: ვისლანდერი, კარლენი, სტეფან ოლსონი, ანდერსონი. ესპანელთა ყირგიზი ლიდერი ტალანტ დუშებაევი ბევრს ეცადა, მას მხარი ექსტაბურუმაც აუბა, მაგრამ შვედებთან მაინც ვერაფერი გააწყვეს.

მე-3 ადგილისთვის. ესპანეთი — საფრანგეთი 27:25

ფინალი. ხორვატია — შვედეთი 27:26

ფინალური მატჩი მოულოდნელად ხორვატების უპირატესობით დაიწყო. ეს უპირველესად ხორვატთა მეკარის მატუშევიჩის დამსახურება იყო. შვედები კარგად ათამაშებდნენ ბურთს, ერთი ერთზე გაჰყავდათ მეკარესთან თავდამსხმელები, მაგრამ მატუჩევიჩში ილებდა და ილებდა ბურთებს. სამაგიეროდ, არცთუ საზარბიელოდ გამოიყურებოდა შვედეთის მეკარე მაგნუს ოლსონი, რომელმაც რამდენიმე იოლი ბურთი გაუშვა. მეორე ტაიმში შვედებმა მეკარე შეცვალეს — კარში სვენსონი ჩადგა. თამაში კი არ იცვლებოდა. 12 წუთით ადრე სხვაობა ანგარიშში კატასტროფული გახდა — 19:12, მაგრამ ჩრდილოელები არ აპირებდნენ დანებებას. ლოგრენის, სტეფან ოლსონის და განსაკუთრებით ჰაიასის კარგი თამაშის წყალობით მათ სხვაობა 4-მდე შეამცირეს — 16:20. თუმცა კარგა ხანს მეტს ვერ მიაღწიეს. ხორვატთაგან ბრწყინვალედ თამაშობდა სმაილაჯიჩი, რომელიც შვედეთის შედეგიან შეტევებს ასევე გოლებით პასუხობდა. 23:19 რომ იყო ხორვატთა სასარგებლოდ, შვედი ლოგრენი გააგდეს და თითქოს მატჩის ბედიც გადაწყვეტილი ჩანდა, მაგრამ შესანიშნავად ითამაშა შვედების მეკარე სვენსონმა, რომელმაც რამდენიმე უძნელესი ბურთი მოიგერია. უმცირესობაში დარჩენილმა მისმა თანაგუნდელებმა — ვისლანდერმა, ტორსონმა და ჰაიასმა ზედიზედ სამი გოლი გაიტანეს და ანგარიში მინიმუმამდე შეამცირეს. ხორვატებმა ბურთი მოეგენ და სამ წუთში მეტოქეებმა ორ-ორი შედეგიანი შეტევა განახორციელეს. აქ სმაილაჯიჩმა კიდევ ერთხელ გამოიჩინა თავი — 26:24. სტეფან ოლსონის გოლის შემდეგ ხორვატებმა ბურთი დაკარგეს, ჰაიასმა, რომელიც საუკეთესო იყო ამ მატჩში, პასი ვერ დაიჭირა და პერკოლაცმა ოქროს გოლი გაიტანა. 15 წამით ადრე გატანილ ლოგრენის გოლს მნიშვნელობა აღარ ჰქონდა.

ქალები.

მე-3 ადგილისთვის. უნგრეთი — ნორვეგია 20:18

ფინალი. დანია — კორეა 37:33

ფინალში ერთმანეთს შეხვდა ამ ტურნირის ორი უძლიერესი გუნდი, რომელთაც აქამდე აშკარა უპირატესობით დაამარცხეს მეტოქეები. მატჩი მეტად დაძაბულად, ძალზე სწრაფ ტემპში წარიმართა. ძირითადი დროის მიწურულს, 29:29-ზე, დანიელებს გამარჯვების შანსი მიეცით, მაგრამ კამილა ანდერსონმა შვიდმეტრიანი ვერ გამოიყენა. დამატებით დროში დანიელებმა მაინც შესძლეს ორგზის ოლიმპიური ჩემპიონების წინააღმდეგობის გატეხვა და თავად გახდნენ პირველად ჩემპიონები.

## ქვეყნების მონაგარი

ოქრო, ვერცხლი და ბრინჯაო

| საბოლოო — 271 სახეობის შემდეგ | | | |
|---|---|---|---|
| აშშ | 44 | 32 | 25 |
| რუსეთი | 26 | 21 | 16 |
| გერმანია | 20 | 18 | 27 |
| ჩინეთი | 16 | 22 | 12 |
| საფრანგეთი | 15 | 7 | 15 |
| იტალია | 13 | 10 | 12 |
| ავსტრალია | 9 | 9 | 23 |
| კუბა | 9 | 8 | 8 |
| უკრაინა | 9 | 2 | 12 |
| კორეა | 7 | 15 | 5 |
| პოლონეთი | 7 | 5 | 5 |
| უნგრეთი | 7 | 4 | 10 |
| ესპანეთი | 5 | 6 | 6 |
| რუმინეთი | 4 | 7 | 9 |
| ჰოლანდია | 4 | 5 | 10 |
| საბერძნეთი | 4 | 4 | 0 |
| ჩეხეთი | 4 | 3 | 4 |
| შვეიცარია | 4 | 3 | 0 |
| დანია | 4 | 1 | 1 |
| თურქეთი | 4 | 1 | 1 |
| კანადა | 3 | 11 | 8 |
| ყაზახეთი | 3 | 4 | 4 |
| ბულგარეთი | 3 | 7 | 5 |
| იაპონია | 3 | 6 | 5 |
| ბრაზილია | 3 | 3 | 9 |
| ახალი ზელანდია | 3 | 2 | 1 |
| სამხრეთ აფრიკა | 3 | 1 | 1 |
| ირლანდია | 3 | 0 | 1 |
| შვედეთი | 2 | 4 | 2 |
| ნორვეგია | 2 | 2 | 3 |
| ბელგია | 2 | 2 | 2 |
| ნიგერია | 2 | 1 | 3 |
| ჩრდილოეთ კორეა | 2 | 1 | 2 |
| ალჟირი | 2 | 0 | 1 |
| ეთიოპია | 2 | 0 | 1 |
| ბრიტანეთი | 1 | 8 | 6 |
| ბელარუსი | 1 | 6 | 8 |
| კენია | 1 | 4 | 3 |
| იამაიკა | 1 | 3 | 2 |
| ფინეთი | 1 | 2 | 1 |
| ინდონეზია | 1 | 1 | 2 |
| იუგოსლავია | 1 | 1 | 2 |
| ირანი | 1 | 1 | 1 |
| სლოვაკეთი | 1 | 1 | 1 |
| სომხეთი | 1 | 1 | 0 |
| ხორვატია | 1 | 1 | 0 |
| პორტუგალია | 1 | 0 | 1 |
| თაილანდი | 1 | 0 | 1 |
| ბურუნდი | 1 | 0 | 0 |
| კოსტა-რიკა | 1 | 0 | 0 |
| ეკვადორი | 1 | 0 | 0 |
| ჰონკონგი | 1 | 0 | 0 |
| სირია | 1 | 0 | 0 |
| არგენტინა | 0 | 2 | 1 |
| ნამიბია | 0 | 2 | 0 |
| სლოვენია | 0 | 2 | 0 |
| ავსტრია | 0 | 1 | 2 |
| მალაიზია | 0 | 1 | 1 |
| მოლდოვა | 0 | 1 | 1 |
| უზბეკეთი | 0 | 1 | 1 |
| აზერბაიჯანი | 0 | 1 | 0 |
| ბაჰამაზი | 0 | 1 | 0 |
| ლატვია | 0 | 1 | 0 |
| ფილიპინები | 0 | 1 | 0 |
| ტაივანი | 0 | 1 | 0 |
| ტონგა | 0 | 1 | 0 |
| ზამბია | 0 | 1 | 0 |
| საქართველო | 0 | 0 | 2 |
| მაროკო | 0 | 0 | 2 |
| ტრინიდად-ტობაგო | 0 | 0 | 2 |
| ინდოეთი | 0 | 0 | 1 |
| ისრაელი | 0 | 0 | 1 |
| ლიტვა | 0 | 0 | 1 |
| მექსიკა | 0 | 0 | 1 |
| მონღოლეთი | 0 | 0 | 1 |
| მოზამბიკი | 0 | 0 | 1 |
| პუერტო-რიკო | 0 | 0 | 1 |
| ტუნისი | 0 | 0 | 1 |
| უგანდა | 0 | 0 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი

## 2 ტური

| | | |
|---|---|---|
| სამგურალი | 1:0 | სიონი |
| ივერია | 0:2 | დილა |
| ოდიში | 5:0 | ტორპედო |
| გურია | 5:4 | გორდა |
| კახეთი | 1:0 | სამტრედია |
| მერანი | 4:0 | კოლხეთი |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 2 | 2 | 0 | 0 | 7:5 | 6 |
| დილა | 2 | 2 | 0 | 0 | 3:0 | 6 |
| დინამო | 1 | 1 | 0 | 0 | 6:0 | 3 |
| ოდიში | 2 | 1 | 0 | 1 | 5:1 | 3 |
| მარგვეთი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| გორდა | 2 | 1 | 0 | 1 | 7:5 | 3 |
| მერანი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:3 | 3 |
| ბათუმი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| კოლხეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 4:4 | 3 |
| ტორპედო | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | 3 |
| კახეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:4 | 3 |
| სამგურალი | 2 | 1 | 0 | 1 | 1:6 | 3 |
| სამტრედია | 2 | 0 | 0 | 2 | 1:3 | 0 |
| სიონი | 2 | 0 | 0 | 2 | 0:2 | 0 |
| შევარდენი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |
| ივერია | 2 | 0 | 0 | 2 | 0:5 | 0 |

# გუშინ: გურია და დილა წინ გავიდნენ (?!)

# პირველად იყო სიმღერა

**მერანი 4:0 კოლხეთი**

მერანი: დოლიძე, ივანიშვილი, არჩვაძე, გოგიბერიშვილი (კენჭიაშვილი 70), ბახტაძე, ქორიძე, თ. ჯიშკარიანი, დ. კაკუბავა (მაზიაშვილი 57), ჭოლოკავა, ტარიელაშვილი (კვარაცხელია 46), დავითაშვილი
კოლხეთი: გოგუა, მიქაბერიძე, ქობულაძე, შ. ხუჯაძე, თიბილაშვილი, ღლანიძე, ბ. ამბიძე (ტორჩინავა 46), ქუნთელია, სოლოღაშვილი, ჟულეჯიშვილი, გიორგაძე (ინიაშვილი 46)
1:0 კვარაცხელია (59), 2:0, 4:0 დავითაშვილი (71, 88), 3:0 ჭოლოკავა (81)
გაფრთხილება: ივანიშვილი, ქუნთელია
მსაჯი: ო. გუნთაძე (ლანჩხუთი)

მერანელები პირველად თამაშობდნენ პირველ ჯგუფში, თანაც საკუთარ მოედანზე და გუნდის უფროსობა, ცხადია, საზეიმო ვითარების შექმნას შეეცდებოდა. საამისოდ სტადიონზე ქართული ხალხური სიმღერების ანსამბლიც მოეყვანათ. ფეხბურთელებზე ადრე სათამაშო მინდვრის ცენტრში მომღერლები გამწკრივდნენ, ერთმა მანდილოსანმა ლექსი თქვა, სხვებმა ტკბილად დაამღერეს, ამასობაში ფეხბურთელები გამოვიდნენ გასახდელებიდან და მუსიკის თანხლებით გახურება იწყეს. მაგრამ ამათზე ადრე მუსიკოსები გახურდნენ და ცოტა ხანში ისეთი შაირობა ატეხეს, თქვენი მოწონებული. ვინ გაცალა ფოლკლორით ტკბობა: ექვსი სრულდებოდა და გუნთაძემ ფეხბურთელებს უხმო. ანსამბლის წევრებმა მინდორი კი დატოვეს, მაგრამ იქვე, შორიახლოს მიდგნენ და გუნდების კაპიტნებმა ივანიშვილმა და თიბილაშვილმა დროშის აღმართვა რომ დაიწყეს, ეროვნული ჰიმნის ნაცვლად შავლეგო დაქუხეს. მაყურებელიც მარჯვენათი გულზე ხელდადებული მანამ იდგა ფეხზე, სანამ სიმღერა არ ჩათავდა.

დროშა აღიმართა, გუნთაძემ ჩასტვინა და „მერანმაც“ შეუტია. მათი ორი ტანმორჩილი, მაგრამ ვერცხლისწყალივით მოძრავი და სწრაფი თავდამსხმელი ტარიელაშვილი და დავითაშვილი გამორჩევით აქტიურობდნენ. მეორე წუთზე ქორიძემ ჭოლოკავას შეუქმნა ხელსაყრელი ვითარება, მაგრამ ლადოს დარტყმული კარს საკმაოდ ასცდა. მერე დავითაშვილმა იაქტიურა და კუთხური დაიმსახურა. საერთოდ, ერთი რამ უნდა აღინიშნოს აუცილებლად: მთელი თამაშის მანძილზე ფეხბურთელები ჯარიმის ზღვარზე მოქმედებდნენ და გუნთაძესაც სასტვენი და ფილტვები არ მოუსვენებია. საწყისი აქტიურობის შემდეგ მერანელები დაცხრნენ და სიფრთხილეს უმატეს, ემანდ ფოთელთა კონტრშეტევა არ გაგვეპაროსო. ტრიბუნებზეც გულშემატკივარი იმის მოლოდინში იყო, აა, ახლა გამოიღებს ხელს „კოლხეთი“ და დებიუტანტს დაჩაგრავსო, მაგრამ ნურას უკაცრავად. მასპინძლებმა რომ ნახეს, სტუმრები დღეს რაღაც თამაშის იშტაზე ვერ არიანო, ნამეტანი გათამამდნენ. აქეთ „აბრეზა“ უშრობდა სისხლს ქუნთელიას, იქეთ ჭოლოკა თიბილაშვილს. ვერც ფოთელთა ნახევარმცველები გამოიყურებოდნენ ყოჩაღად, მხოლოდ დათო სოლოღაშვილი იყო, ბოლომდე რომ იბრძოდა. კოლხელებმა მხოლოდ ერთხელ, 35-ე წუთზე გაითამაშეს ნორმალური კომბინაცია. სოლოღაშვილმა ბრძოლით მოიპოვა ბურთი და ამბიძეს მიაწოდა, ამან თავის მხრივ ჟულეჯიშვილი გაიყვანა ხელსაყრელ პოზიციაზე. გოლი თითქოს გარდუვალი იყო, მაგრამ არჩვაძე მატროსოვივით გადაეფარა დარტყმას და თავისიანები გადაარჩინა. ეს იყო და ეს, სახეირო და ღირებული ფოთელებს მეტი აღარაფერი შეუქმნიათ. ეგ იყო, სოლოღაშვილმა დაარტყა ერთხელ ცაცხვით, მაგრამ დოლიძე მშვიდად დაუხვდა ბურთს. ტაიმის ბოლოსკენ „მერანმა“ ტემპს უმატა, ძალიან გააქტიურდნენ გოგიბერიშვილი, ქორიძე და დავითაშვილი, მათ ორივე განაპირა მცველმა ივანიშვილმა და ბახტაძემაც მიბაძა. ყოფილმა მრეტმა ქორიძემ აშკარად წაართვა ცენტრი ამბიძეს და ღლანიძეს. ამ ფეხბურთელს რომ ორი-სამი წელიწადი არ დაეკარგა და აქამდე ეთამაშა პირველი ჯგუფის რომელიმე გუნდში, ორი თავით მაღლა იდგებოდა, ვიდრე დღეს არის. ბევრი რომ აღარ გავაგრძელოთ, პირველი ტაიმი სტუმრებს კარგს არაფერს უქადდა და ეს თანდათან უფრო ცხადი ხდებოდა. მერანელებმა პირველი ნახევარი უგოლოდ რომ გალიეს, ეს მათივე ტაქტიკის ბრალიც იყო. დავითაშვილი და ჭოლოკავა ფლანგებზე მეურვეებს კი უსხლტებოდნენ, მაგრამ ბურთს საჯარიმოში მაღალი ტრაექტორიით აწვდიდნენ და იგი ან მეკარე გოგუას ნადავლი ხდებოდა, ანაც ხუჯაძე და ქობულაძე იგერიებდნენ თავით. ბევრს და მონდომებით იბრძოდა ტარიელაშვილი, მაგრამ მისი სიმაღლის პატრონი ამ მცველებთან რას გახდებოდა. „მერანს“ მაინც შეეძლო დაწინაურება. თიბილაშვილმა ერთხელაც წააქცია ჭოლოკავა, დავითაშვილმა საჯარიმოში გოგიბერიშვილს დაუგორა, ამან დარტყმის ნაცვლად გაატარა და თერთმეტმეტრიანის ნიშნულთან ჭოლოკავამ ხელსაყრელ სიტუაციაში მიიღო ბურთი. ლადომ რატომღაც დააგვიანა, მერე დარტყმა კი ზუსტი, მაგრამ სუსტიც გამოუვიდა და ბურთი გოგუას საკბილო გახდა.

შესვენებაზე მეტოქეთა თავკაცებმა შეცვლებს მიმართეს. გაბელაიამ მრავალნაცადი ბადრი კვარაცხელია შემოიყვანა, ფილიამ კი შეტევების ორგანიზატორი ამბიძე ტორჩინავათი შეცვალა, მერე გიორგაძეს ინიაშვილიც ამჯობინა. სტუმართა შეტევების ორგანიზება ღლანიძემ ივარგა. მეორე ნახევარი ახალი დაწყებული გახლდათ, მასპინძლებმა ახალწვეულ კაკუბავას ნაცვლად მაზიაშვილი რომ გამოიყვანეს.

თუ ლოგიკურად ვიმსჯელებთ, სტუმრები ფიზიკურად უკეთ უნდა ყოფილიყვნენ მომზადებულნი. ისინი ხომ ინტერტოტოს თასზე მონაწილეობდნენ და მასპინძლებთან შედარებით მზადებაც გაცილებით ადრე დაიწყეს. არადა, ფაქტი იყო: მეორე ტაიმში „მერანმა“ აშკარად დაჩაგრა მეტოქე.

ფოთელმა ღლანიძემ ცენტრში ვერაფერი გაახერხა, ქორიძემ კი მასპინძელთა შეტევები უფრო მიზანმიმართული გახადა, ის კი არა, თავადაც შეეძლო გოლის გატანა, მაგრამ თაური აცილა. არ გასულა ორი წუთი და ქორიძემ დავითაშვილი გაიყვანა გოგუასთან პირისპირ. სტუმართა გოლკიპერმა მხოლოდ ამ ერთხელ შეძლო კარის გადარჩენა და „აბრეზას“ დარტყმული მოიგერია. მერე კვარაცხელიამ აცილა ხელსაყრელი საჯარიმო. სტუმრებს აშკარად დაეტყოთ დაღლა, მათი განაპირა მცველები კი მთლად გაბითურდნენ. „მერანი“ უფრო ასწრაფდა და გოლიც გარდაუვალი ჩანდა. ივანიშვილი, გოგიბერიშვილი, ჯიშკარიანი, ბახტაძე — როცა ნახევარმცველ-თავდამსხმელთა გარდა კიდევ ოთხი უკანახაზელი გიტევს, სახეირო არაფერი გელოდება. ჰოდა, მეორე ნახევრის დაწყებიდან თოთხმეტ წუთში პირველი გოლიც გავიდა. მარცხენა ფრთაზე ფოთელებმა მცველი ბახტაძე წააქციეს ჯარიმა ივანიშვილმა ჩამოაწოდა. გოგუა რატომღაც ხაზზე გახევდა, კვარაცხელიამ კი შეცდომა არ აპატია და მარჯვენა ცხრიანში გაუტანა. ხუთიოდ წუთში „კვარას“ კიდევ ჰქონდა ხელსაყრელი მომენტი: ჭოლოკავას პასის მერე კარგი თაური დაარტყა, მაგრამ ბურთი ხარიხას მოხვდა და კარს უკან გადავარდა. ფოთელები მთლად დაიბნენ და თამაშიც მასპინძლების კარნახით გრძელდებოდა. თიბილაშვილმა ვითომ გარღვევა წამოიწყო, მაგრამ ქორიძემ იქვე შეაჩერა და ბურთი კვარაცხელიას მიაწოდა, ამან სწრაფადვე „აბრეზას“, ამ უკანასკნელს კი მეკარის მოტყუება და კარის წინ ეულად დარჩენილს გოლის გატანა არ გასჭირვებია. 0:2 ის დეფიციტია, რომლის შევსება ძალიან ძნელი საქმეა, მითუმეტეს იმ თამაშით, რასაც სტუმრები გვთავაზობდნენ. ამას უფრო ფაფხური ეთქმოდა. კი ბატონო, ღლანიძემ დაარტყა — დოლიძემ აიღო, თიბილაშვილმა სახიფათო მოჭრილი ჩააწოდა — ბურთს ყველა ასცდა, მასპინძელმა ჯიშკარიანმა უწყინარ სიტუაციაში საკუთარ საჯარიმოსთან მიქაბერიძეს მიაწოდა, ამან დარტყმის ნაცვლად იმდენი აწვალა ბურთი, სანამ არ წაართვეს. სტუმრებმა, არიქა, მომენტიაო და ყველამ იერიში განიზრახა, დაუფიქრებლად შეტევამ კი ზურგის მოშიშვლება იცის. „მერანიც“ ამას ელოდა, სტუმრებს ბურთი წაართვეს, ივანიშვილ-ქორიძე-ჭოლოკავას სამსვლიანი კომბინაცია გაითამაშეს და ლადო გოგუასთან ისევ პირისპირ დარჩა. ჭოლოკავამ ბურთი მარცხენათი გაისწორა და მყის მარჯვენა დაჰკრა. გოგუა არც განძრეულა, ბურთი ცხრიანში ისე შევარდა. 3:0 კი იყო და თამაშის დამთავრებამდეც ცხრა წუთიღა რჩებოდა, მაგრამ მასპინძლებმა მანამ არ მოისვენეს, სანამ სტუმრებს ბოლო არ მოუღეს. ეს ისევ დაუდეგარმა „აბრეზამ“ იკისრა. პასი, თანაც ისეთი, დავითაშვილი ხელსაყრელ სიტუაციაში რომ აღმოჩნდა, ისევ ქორიძემ მიაწოდა და ოდნავ მახვილი კუთხიდან დარტყმული ბურთი მარჯვენა დაბალ კუთხეში აფართხალდა. სხვათა შორის, ოთხივე გოლი ერთსა და იმავე კუთხეში გავიდა. ორიოდ წუთში გუნთაძემაც ჩასტვინა და მასპინძლებმა ერთობ გაიხარეს, სტუმრები კი ჩუმად, თავჩაღუნულნი შეიპარნენ გასახდელში. აშკარა იყო, მეტოქის შეუფასებლობა სანანებელი გაუხდებოდათ.



ბადრი კვარაცხელიამ მერანელთა ანგარიში გახსნა

მწვრთნელთა კომენტარი:

სოსო ფილია: რა უნდა ვთქვა, „მერანმა“ ყველაფერში გვაჯობა, აბსოლუტურად ყველაფერში. ისლა დაგვრჩენია, წაგების მიზეზები მოვიძიოთ, ჩავუღრმავდეთ და გავაანალიზოთ, ასეთი რამ მეორედ რომ არ დაგვემართოს. სიმართლე თუ გინდათ, მასპინძლებმა ჩვენთვის მოულოდნელად ჩინებულად, მძაფრად და დიდი მონდომებით ითამაშეს, ჩვენებმა კი პირიქით. დღეს მინდორზე პარალიზებული „კოლხეთი“ იყო.

სერგო გაბელაია: ჩვენების თამაშით კმაყოფილი ვარ. ბიჭებმა დავალება პირნათლად შეასრულეს, განსაკუთრებით მეორე ტაიმში იყოჩაღეს. თუ ასე გავაგრძელეთ, საქმე საგანგაშოდ არ გვექნება. რაც შეეხება „კოლხეთს“, წაგების მიუხედავად ჩამოსაწერი ნამდვილად არ არის. ფოთელთა ძალა ბევრს გამოუცდია, ისინი საკმაოდ ძლიერები არიან და კიდევ იტყვიან სათქმელს. დღეს კი, ვფიქრობ, ცოტა თავდაჯერებულები იყვნენ. ამაში შეცდნენ და აკი დაისაჯნენ კიდეც.

**მამუკა კვანტალიანი**

## „სამტრედია“: შიმშილობის ორი ტური

**კახეთი 1:0 სამტრედია**

კახეთი: ბეწუკელი, ჭიჭუა, ტარუღაშვილი, კ. წიკლაური, ნაყუდაიძე, შალამბერიძე, ათუაშვილი, ა. ბოჭორიშვილი, შონია (გოგიაშვილი 88), ნონიკაშვილი (მამისაშვილი 46), ღვინიაშვილი
სამტრედია: სტურუა, ნოდია, ბ. ლურსმანაშვილი, ლორია, ხახიშვილი, მჭედლიშვილი, შ. ჩომახიძე, ღარსაძე, გვასალია, ფანჩულიძე, ანჯაფარიძე (ივეჩიანი 74)
1:0 შონია (69)
გაფრთხილება: შონია, ხახიშვილი, ღვინიაშვილი
მსაჯი: გ. ასკაროლლი (ქარელი)

ახალდაწყებულზე, ჩემპიონატის მეორე ტურშივე გუნდები რომ თავს გამოიდებენ, მიზეზი, ცხადია, პირველ ტურშია საძიებელი და არც არის ძნელი მისახვედრი: წაგებამ ხომ შეფუცხუნება იცის. კახელები რომ ფოთში დაარბიეს, ანუ ოთხი გაუტანეს და ერთიც არ გაატანინეს, ეს გასაკვირი მაინც არ იყო, მაგრამ „გურია“ რომ „სამტრედიას“ მიუხდა და 2:1 მოუგო, ეს კი ნამდვილად სენსაციად გამოჩნდა. მოკლედ, ორივე გუნდს ნამუსი უნდა მოეწმინდა და ამას ძალიანაც ეცადნენ, ეგ კი იყო, ზოგ-ზოგმა გარემოებამ დააბრკოლა და რისი შნოც სადღეისოდ აქვთ, ბოლომდე ვერ გვიჩვენეს: თელაველთაგან რამდენიმემ, ჯერ შეპირებული მივიღოთ (ცხადია, ფულზეა ლაპარაკი) და მერე ვითამაშებთო, განაცხადა, სამტრედიელებმა კი დღემდე დაუმტკიცებელი ფეხბურთელები ვერ გამოიყვანეს.

ერთი გარემოებაც, მეტოქეებს რომ ბურთის უფრო ხეირიანად გაგორებაში შეუშალა ხელი, არცთუ რიგიანი მოედანი გახლდათ. მიზეზი არ ახალია — თელავში მუდამ იყო წყლისა და სათამაშო მინდვრის მორწყვის პრობლემა.

ამ შეხვედრის სიუჟეტები იმნაირ კრივისას ჰგავდა, ერთი რომ კარგად დაიწყებს და ქულებს აგროვებს, მერე კი მეორე გამოიღებს ხელს, ვითარებას შეატრიალებს და საბოლოო გამარჯვებასაც ირგუნებს. პირველ ტაიმში სტუმრები უფრო გააზრებულად მოქმედებდნენ, აქტიურობითაც ვინმე ერთი კი არა, ერთბაშად სამნი გამოირჩეოდნენ — გვასალია, ფანჩულიძე და ჩომახიძე ხიფათს არ აკლებდნენ მასპინძელთა კარს. გვასალიას რამდენჯერმე შეექმნა ისეთი ვითარება, რომ გოლით გახარებამდე ცოტა დააკლდა. თუმცა, არც იმის თქმა შეიძლება, რომ მასპინძლებს სტუმართა კარისკენ არ გაუხედიათ — 25-ე წუთზე შონიამაც ვერ გამოიყენა ხელსაყრელი მომენტი. ერთი სიტყვით, ამ ტაიმს სამტრედიელებისა ეთქმოდა და მათ მიერ 32-ე წუთზე გათამაშებული კომბინაცია ნიშანდობლივიც გახლდათ — მწვავე იერიში, რაღა თქმა უნდა, ჩომახიძე-გვასალია-ფანჩულიძის კომბინირებით, ამ უკანასკნელის სახიფათო, ოღონდ ოდნავ უზუსტო დარტყმით დასრულდა. პირველი ნახევრის საუცბათეო შეფასება ასე შეიძლებოდა: ბრძოლა კი არის, მაგრამ ტემპი ვერა, იგრძნობა, რომ ჩემპიონატი ეს-ესაა დაიწყო.

შესვენებაზე დრო უქმად არ დამიკარგავს და თელავის რაიონის გამგებელი გოდერძი მამუკელაშვილი შევაწუხე, კახელთა გუნდის სამომავლო სვე-ბედზე დავეკითხე გამგებელმა კარგი ამბავი მამცნო: ამჟამად მუშავდება პროექტი, კახეთის რეგიონმა ეს ერთი გუნდი მაინც რომ შეინახოს, რადგან ერთ ცალკე რაიონს უჭირს ამის გაკეთება, ერთიანობით კი ეს სავსებით შესაძლოაო.

მეორე ტაიმში, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, პირველის საპირისპირო სურათი დაიხატა. „კახეთის“ შემადგენლობაში მომხდარმა ცვლილებებმა გუნდი არათუ გამოაცოცხლა, არამედ მეტოქეზე უკეთაც ათამაშა და ძალიანაც ახეირა. განსაკუთრებით თვალშისაცემი და მნიშვნელოვანი ის გახლდათ, რომ თელაველები მოედნის ცენტრს დაეპატრონენ, ეს კი, მოგეხსენებათ, უპირატესობის მოპოვების უმთავრესი ფაქტორი გახლდათ. ეს უპირატესობა აკი შონიას გოლადაც გარდაისახა 69-ე წუთზე, რაც სავსებით ლოგიკური იყო. ამ გოლამდე რამდენიმე წამით ადრე შონიას კიდევ ერთი საგოლე მომენტი გაუცუდდა. აშკარა იყო, სამტრედიელები გატყდნენ, წაგვრილ-წაგებულმა მოედნის შუაგულმა ანუ ნახევარდაცვის არევამ დამცველებისა და შემტევების ურთიერთკავშირი გაწყვიტა, შეცდომაც, ბუნებრივია, მრავლად იყო. და მაინც, მე-80 წუთზე სამტრედიელებს ჰქონდათ ანგარიშის გათანაბრების შანსი: ჩომახიძემ მარჯვენა ფლანგიდან, კარის ხაზის გასწვრივ ჩააწოდა სახიფათოდ, მაგრამ თანაგუნდელებმა მხარი ვერ აუბეს საკადრისად. სტუმართა ამ გაცუდებულ შანსს მასპინძლებმაც ამგვარადვე უპასუხეს 89-ე წუთზე: სამტრედიელთა საჯარიმოში შეჭრილ ნაკუდაიძეს გატანამდე რაღა აკლდა, მაგრამ საბოლოოდ სტურუამ იმარჯვა. მოკლედ, ერთი გოლი ერთად დარჩა და „კახეთმა“ გაიმარჯვა. ეს გამარჯვება სწორი ტაქტიკური თამაშის წყალობით იყო: გრძელი და მოკლე პასების ხშირი მონაცვლეობა, გააზრებული მოქმედება ცენტრში, ფლანგების კარგად გამოყენება... სამტრედიელები კი უფრო დიაგონალურ გადაცემებს მიეძალნენ, ამით ტაქტიკა გაამარტივეს და...

მწვრთნელთა კომენტარი:

ჯემალ მახარაშვილი: შედეგით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი ვარ, მაგრამ ეს არ არის „კახეთის“ ის თამაში, რასაც ვისურვებდი. მიზეზი ის იყო, რომ ჩვენმა რამდენიმე წამყვანმა ფეხბურთელმა არ ითამაშა, თანაც ჩემპიონატისთვის სამზადისი გვიან დავიწყეთ და დღეს, ფაქტობრივად, ექსპერიმენტული შემადგენლობით გამოვედით. ასე რომ, თამაშის გაუმჯობესების საშუალება გვაქვს.

კახა ელაშვილი: არ ვიცი, რით ავხსნა ჩვენი მარცხი, მეორე ტაიმში ჩვენები ფიზიკურად გატყდნენ. სანამ ფეხბურთელებს არ დავიმატებთ, მანამდე ძალიან გაგვიჭირდება.

**მერაბ მამულაშვილი თელავიდან**

# ეს წყეული 87-ე

**სამგურალი 1:0 სიონი**

სამგურალი: თევზაძე, ლ. ქობულაძე, მანიგაძე, ივანეიშვილი (ბუნტური 46), გ. ჯანელიძე, ესაიაშვილი, ფხაკაძე (ჯაბუა 46), ლ. ფესტვენიძე (უშვერიძე 80), გოგელიძე, ხურცილავა, კ. ჯანაშია
სიონი: დალაქიშვილი, კ. გოდერძიშვილი, ყაველაშვილი, ყიფშიძე, ქოიავა (ა. გაბრიჭიძე 85), ტარტარაშვილი, შაკიაშვილი, ქორთუა (ყიფიანი 72), ჯაგიდისი, გაბისონია
1:0 უშვერიძე (87)
გაფრთხილება: გ. ჯანელიძე, ბუნტური
მსაჯი: შ. ხანიაშვილი (თბილისი)

წინა ტურში ორივე გუნდი მშრალზე დარჩა. „სამგურალმა“ ისეთი გამანადგურებელი მარცხი იწვნია „დინამოსგან“, რომ წესით ასე უცებ ვერც უნდა მოგებულიყო გონს. თუმცა, წყალტუბოელები ამას წინასწარვე შეგუებულნი ყოფილან და დიდად არც განუცდიათ. ბოლნისელებმა კი თანაბარ ბრძოლაში წააგეს გორში, მეტიც, მათ უკეთესი შედეგის მიღწევის დიდი შანსი ჰქონდათ, მაგრამ თამაშის ბოლოს 3 წუთი ვერ მიატანეს და მინიმალური ანგარიშით დამარცხდნენ. „სიონზე“ არ ითქმის, წყალტუბოში ჩამოსვლა დაუგვიანდაო, მაგრამ არც ადრიანად ჩამოსულა. ამათაც „როსინანტი“ ავტობუსით უმგზავრიათ და იმერეთამდე ძლივსლა ჩამოაღწიეს. თავიდან ბოლნისელებს „სამგურალის“ საჯარიმომდე მიღწევაც ისე უჭირდათ, როგორც მგზავრობა, მაგრამ არც მასპინძლები იყვნენ საჯარიმოს ხშირი სტუმრები. თითქმის მთელი პირველი ტაიმის განმავლობაში თამაში საჯარიმომდე მიმდინარეობდა. ვერ იტყვი, მოედნის ცენტრში დიდი ბრძოლა იყოო, მაგრამ პირველი ნახევრის ეპიცენტრი მაინც ცენტრალური რკალის მიდამოები გახლდათ. იშვიათად, საჯარიმოს მისადგომებთანაც შეიქმნებოდა ხოლმე დაძაბული სიტუაცია, მაგრამ აქედან მცველები უფრო ხშირად პოულობდნენ გამოსავალს. ტაიმის დამთავრებას 5 წუთი უკლდა, მეკარე პირველად რომ ჩაერთო თამაშში. მანამდე კი, როგორც გითხარით, კარის დარაჯნი უსაქმოდ იყვნენ და ლიბეროთათვის თავისუფალი დარტყმისას ბურთის გამსწორებლის ფუნქციას სჯერდებოდნენ. ამათი ცოდვა შემტევი ხაზის ფეხბურთელებზე იყო, რომლებიც გიჟურ ტემპს კი უძლებდნენ. მაგრამ საბოლოო, უმრავლეს შემთხვევაში შორეული დარტყმები არაზუსტი გამოსდიოდათ. პირველი, ვინც ყველაზე სახიფათოდ დაარტყა, ბოლნისელი ქოიავა იყო. 43-ე წუთზე მან მარჯვენა ფრთიდან ჩამოწოდებული კარს ოდნავ აცილა. შესვენების მერე თამაში ახალი განახლებული იყო, რომ სტუმართა კარგი კომბინაციის სასურველად დაბოლოება კვლავ ქოიავამ სცადა, მაგრამ თევზაძემ იყოჩაღა და კარგად დარტყმული აუღო. 60-ე წუთზე გაბისონია გაექცა მეტოქის მცველებს და გახსნილს პასიც არ დაუგვიანეს, მაგრამ მოძრაობაში დარტყმისას გელამ კარს გადააცილა ბურთი. ამ მომენტიდან უკვე საგრძნობი გახდა, რომ მცველები სცოდავდნენ, მთელი თამაშის მანძილზე გამუდმებულ შემოტევებსა და მათ მოგერიებას ველარ აუდიოდნენ და შეცდომებს მოუხშირეს. ამას შედეგი უნდა გამოეღო ვისიმე კარში გატანილი გოლის სახით, მაგრამ შეხვედრა იწურებოდა, ანგარიში კი უცვლელი იყო. გუნდებმა შეცვლებსაც მიმართეს, ოღონდ, თუ სტუმრებმა დაცვაზე გაამახვილეს ყურადღება, მასპინძლებმა შეტევა გააძლიერეს და კიდეც იხეირეს. მე-80 წუთზე გამოსულმა ჯეირან უშვერიძემ, რომელმაც წინა შეხვედრაში კოჭი მცირედ დაიზიანა, 7 წუთში გოლიც გაიტანა. ეს I ჯგუფში მისი მესამე გოლი გახლდათ. მანამდე ორი ბურთი მას „ტორპედოში“ თამაშისას შეეგდო, თანაც ერთ მატჩში „გურიასთვის“. უშვერიძეს ამ გოლის გატანისას ხურცილავამ გაუწია ასისტენტობა: მან მარცხენა ფრთიდან მიაწოდა გოლის ავტორს, ამან თავის მხრივ ორი მცველი მოატყუა და ძლიერად დაარტყა. დალაქიშვილი ბურთს კი მიწვდა, კიდეც მოიგერია, მაგრამ კარგად ვერა და ეს ერთადერთი გოლიც გავიდა.

მწვრთნელთა კომენტარი:

თემურ კოხრეიძე: მძიმე თამაში იყო. გუნდმა თავისი შესაძლებლობები ვერ გამოავლინა. არ შესრულდა ფეხბურთელებისთვის მიცემული დავალება. თამაშს სიმწვავე აკლდა და დისციპლინა. თუმცა, ვფიქრობ, შედეგი მაინც კანონზომიერია.

ნოდარ ხიზანიშვილი: თამაში 90 წუთი მიმდინარეობს და არა 87. უკვე მეორე შეხვედრაა 87-ეზე ვუშვებთ გადამწყვეტ გოლს. დღეს გვქონდა გატანის შესაძლებლობა, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ. დღევანდელი მატჩი რთული იყო. გზაში დიდხანს ვიყავით ტრანსპორტის გაუმართაობის გამო, ამან ძალიან იმოქმედა ბიჭებზე და თამაშს თავისი კვალი დააჩნია.

**სოსო ბარქაია წყალტუბოდან**

# გორში ფეხბურთი აღარ მოკვდება

უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეული მეშვიდე ჩემპიონატი კარგად არც კი გახურებულიყო, რომ გორის „დილა" ისეთ ფინანსურ გაჭირვებაში ჩავარდა, მტერს რომ არ უსურვებს კაცი. „დილას" ფეხბურთელებისა და გულშემატკივრებისთვის ეს კრიზისი არც ახლაა მაინცდამაინც სასიამოვნო გასახსენებელი. მიუხედავად ამისა, გორელებმა სეზონის ბოლომდე თავი როგორღაც გაიტანეს და ასეთი პირობების კვალობაზე მერვე ადგილის დაკავებაც მოახერხეს. ახლოვდებოდა მერვე ჩემპიონატი და გამოუსწორებელი გორელი ოპტიმისტიც კი არ გაივლებდა ფიქრად, რომ „დილა" ახალდაწყებულ ჩემპიონატში მონაწილეობის მიღებას შეძლებდა. მიზეზს თუ იკითხავთ, მოგახსენებთ: გუნდი ვალებში იყო ჩაფლული, გადადგა კლუბის ხელმძღვანელობა, გასასტუმრებელი გახლდათ ფეხბურთის ფედერაციის ორწლიანი დავალიანება, რომელიც ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდმა უნდა გადაიხადოს. ფეხბურთელები მიიფანტ-მოიფანტნენ. სტადიონზე თუ შეიხედავდით, იქ მოვარჯიშე ორად-ორ ფეხბურთელს მოჰკრავდით თვალს — ლომიძესა და რევაზიშვილს. „დილას" საქმეების გამოსწორებისა ამ ორი ფეხბურთელის გარდა აღარავის სჯეროდა. ფეხბურთელებს კი შემოიკრიბავდნენ როგორმე, მაგრამ მოედანზე შიშვლებს ხომ არ არბენინებდნენ? არ იყო ფორმა, რომ აღარაფერი ვთქვათ ბურთებზე, მისახედი იყო სტადიონიც. ჩემპიონატის დაწყებამდე კი ოციოდ დღეღა რჩებოდა, მაგრამ „დილას" მაინც არ ეწერა საბოლოოდ განწირვა. გორში გამოჩნდნენ ადამიანები, რომელთაც კლუბის პატრონობა იკისრეს, ამას ისიც დაემატა, რომ რაიონის თუ ქალაქის ხელმძღვანელობამ ფეხბურთს სასიკეთო თვალით მოხედა და საქმემაც აღმა იწყო სვლა. კლუბის პრეზიდენტობა გია რევაზიშვილმა ჩაიბარა, ვიცე-პრეზიდენტობა კი — ალბერტ ხადურმა. ორივეს მჭიდრო კონტაქტი ჰქონდა ფეხბურთთან. ამჟამინდელი პრეზიდენტი თურმე „დილას" ღირსებას იცავდა და, როგორც ამბობდნენ, არცთუ ურიგოდ. ვიცე-პრეზიდენტს კი, რომელმაც გუნდის პატრონობა და დაფინანსება იკისრა, ოთხი წლის წინათ შეუთავაზებია „დილასთვის" ფინანსური დახმარება, მაგრამ ქალაქისა და კლუბის მაშინდელი ხელმძღვანელობისაგან მხარდაჭერა რომ ვერ უგრძნია, თავისი გზით წასულა. რევაზიშვილისა და ხადურის მოსვლამ მიძინებული და ლამის მომაკვდავი „დილა" გამოაცოცხლა. ფეხბურთელებთან გასწორდა ყველა დავალიანება, გაისტუმრეს ფედერაციის ვალი და ჩემპიონატამდე ორი კვირით ადრე ახალი მთავარი მწვრთნელის ნიკა ამირეჯიბის ხელმძღვანელობით, რომელსაც გორის ფეხბურთში საკმაოდ გაცნობიერებული მერაბ კოჭლაშვილი ეხმარება, ვარჯიშიც დაიწყეს.

ჩემპიონატის პირველ ტურში „დილამ" რომ „სიონი" დაამარცხა, წინა „სარბიელში" გაუწყეთ, მაგრამ იმდღევანდელი თამაშის შემდეგ მომხდარ ერთ ეპიზოდს გავიხსენებდი. მატჩის მერე ოქმში დაფიქსირებულ მონაცემებს ვაზუსტებდი და ოციოდე წუთი შემაგვიანდა. გარეთ გამოსულს „დილას" ფეხბურთელები და მწვრთნელები ტრიბუნაზე მსხდარნი დამხვდნენ. ერთ-ერთ ფეხბურთელს ვკითხე, კრება ან თათბირი ხომ არ გაქვთ-მეთქი. არაო — მითხრა, ვიცე-პრეზიდენტმა ხადურმა დაგვიბარა არ დავშლილიყავით და ჩვენც ველოდებითო. ნათქვამი არც ჰქონდა დამთავრებული, რომ კლუბის თავკაცები გამოჩნდნენ და ბიჭებს კონვერტები ჩამოურიგეს. თურმე, ხადური მატჩის წინ ფეხბურთელებს შეპირებია, თუ გაიმარჯვებთ, თამაშის მერე პრემიებს მიიღებთო. ჰოდა, მეც იმის მოწმე გავხდი, თუ რა კაცურად შეასრულა დანაპირები. ფეხბურთელები თვალებს არ უჯერებდნენ, სიხარულისაგან გაოგნებულებმა ისიც კი თქვეს, ასეთი რამ გორში ათი წელია არ მომხდარაო. რაღა უნდა ბევრი ლაპარაკი იმას, რომ ისინი დანარჩენ თამაშებშიც არ დაზოგავენ თავს და მხოლოდ მოგებისათვის ითამაშებენ...

კლუბის სათავეში მოსული ბევრი გვინახავს. ისეთებიც ყოფილან, ძალიან რომ იქადნებოდნენ, მაგრამ ექვსი თვე, ბევრი-ბევრი ერთი წელი თუ გაჩერებულან და მერე გაქცეულან. ჩვენ არ გავუშვით „დილას" ვიცე-პრეზიდენტთან გასაუბრების შესაძლებლობა და გამოვკითხეთ, რას ფიქრობს კლუბის მომავალზე.

— კლუბის სათავეში იმიტომ მოვედით, რომ „დილა" გვეხსნა. გორში ფეხბურთი არ უნდა მოკვდეს და ეს არც მოხდება. ვიცით და გაცნობიერებული გვაქვს, რა მძიმე ტვირთია ეს, მაგრამ, ვფიქრობ, ყველა ასე მოიქცეოდა, ვისაც გული შესტკივა „დილაზე".

**— გუნდის შენახვა უზარმაზარ ხარჯებს მოითხოვს, ერთი და ორი კაცი ამას ვერ შეძლებს. რაიონის ხელმძღვანელობა და ბიზნესმენები თუ შეგპირდნენ დახმარებას?**

— რაიონის ხელმძღვანელებთან გვქონდა საუბარი. ისინი თავიანთი შესაძლებლობების ფარგლებში დაგვეხმარებიან. ახლა ყველას უჭირს, დალხენილი არავინაა. ვერ გეტყვით, როგორი იქნება მათი დახმარება, მაგრამ თუ მატერიალური ვერა, მორალური მაინც იყოს, ესეც დიდი სტიმული იქნება. მერე და მერე ქვეყანაც წელში გაიმართება და გაგიხარიათ, გორში ისეთი გუნდი გვეყოლება. რაც შეეხებათ გორელ საქმოსნებს, უარი არავისთვის გვითქვამს, დახმარება ვისაც სურს, ჩვენც აქ ვართ, მადლობის მეტს რას ვეტყვით...

**— დღეს ბიჭები ძალიან გაიხარეთ...**

— იმიტომ, რომ მათ გაგვახარეს და სხვანაირად რომ მოვქცეულიყავით, არ იქნებოდა. ასე გავაკეთებთ ყოველი მოგებული თამაშის შემდეგ. ფეხბურთელს რომ არ ატყუებ და დაპირებულს უსრულებ, მაშინ იმის უფლებაც გაქვს, რომ მისგან კარგი თამაში მოითხოვო. ან მოთხოვნაც რაღა საჭიროა, როცა მოთამაშე ხედავს, რომ მასზე ზრუნავენ, პასუხისმგებლობის გრძნობა უორკეცდება.

**— ყველაფერი კარგია და მისასალმებელი, მაგრამ ამ მძიმე ტვირთის ზიდვა მარტოს რომ მოგიხდეთ?**

— მარტო კაცი ჭამაშიაც ბრალიაო, მოგეხსენებათ, მაგრამ წეღანაც ვთქვი და ახლაც გავიმეორებ: თუ ცოტაოდენი მხარდაჭერა მაინც იქნება, „დილა" აუცილებლად იტყვის თავის სათქმელს, ისეთს, ჩვენს ფეხბურთს რომ ეკადრება.

**— თქვენი ნათქვამი მაფიქრებინებს, რომ გორში სოლიდური გუნდის გაკეთებას აპირებთ...**

— ასეა, ამად მოვიწვიეთ გამოცდილი სპეციალისტი ნიკა ამირეჯიბი. მისი მთავარ მწვრთნელად ჩამოყვანა კლუბის პრეზიდენტის იდეა გახლდათ. მერაბ კოჭლაშვილის მოწვევაც მისი აზრი იყო. ორივე კანდიდატურა მართლაც სანაქებოა. როცა ჯერი გუნდის დაკომპლექტებაზე მიდგა, არჩევანი ადგილობრივ ფეხბურთელებზე შევაჩერეთ. მათ ნაკლებობას „დილა" არასდროს განიცდიდა. მართალია, მარღიშვილისა და ხორგუაშვილის წასვლამ გუნდის შეტევითი პოტენციალი დაასუსტა, მაგრამ იმედის მომცემი თაობა გვეზრდება, ეს ახალბედები უკვე თამაშზეც დააყენეს მწვრთნელებმა და მათაც თავი არ დაუზოგავთ. გარდა ამისა, მერაბ კოჭლაშვილი ზვიად ხორგუაშვილსაც ესაუბრა. მას თამაშისათვის თავი ჰქონდა მინებებული, მაგრამ დავითანხმეთ და უკვე რამდენიმე დღეა ინდივიდუალურად ემზადება, მალე გუნდთან ერთად დაიწყებს ვარჯიშს და თუ ადრინდელივით ათამაშდება, თავდასხმაში საქმე საგრძნობლად გამოგვიკეთდება. მერე ვნახოთ, შეიძლება, ერთიორი ფეხბურთელიც შემოვიმატოთ და საქმეც წინ წაგვივა. სტადიონზე სამუშაოები კი ჩავატარეთ, მაგრამ ეს რომ არ კმარა, კარგად ვიცით. ახალი დასაჯდომების დაგებას ვაპირებთ, მერე კომფორტის სხვა საგნებზეც შეიძლება ფიქრი. იდეები და გეგმები კი კარგად გვაქვს, აი, შევასხამთ ხორცს, ამას წინასწარ ვერ გეტყვით, ყველაფერს მომავალი გვიჩვენებს.

თბილისისკენ მგზავრობისას ჩემთვის ვფიქრობდი, კაცს ფეხბურთში არავინ ექაჩებოდა, ის კი ამდენ ხარჯს არ შეუშინდა, მაინც მოვიდა, „დილას" დაშლა არ დაანება. წარმოიდგინეთ, რამდენი ახალგაზრდა დარჩებოდა უსაქმოდ, ასე რომ მომხდარიყო. არა მგონია, ყველა მათგანს ეპოვნა გუნდი და ფეხბურთში დარჩენილიყო. თუმცა გუნდის ყოლა და ოციოდე ფეხბურთელის თავმოყრაც არაა მთავარი, მთავარი ტრადიციისათვის საფუძვლის ჩაყრაა, ამათი შემყურე პატარები ფეხბურთის სკოლას აკითხავენ. გორის საფეხბურთო სკოლაში 80 ბავშვი ვარჯიშობს. სხვათა შორის, ამ სკოლის დირექტორი „დილას" ამჟამინდელი პრეზიდენტი გია რევაზიშვილია. ამ 80 მოზარდიდან ყველა ფეხბურთელი თუ არ გამოვა, ჯანსაღები ხომ მაინც გაიზრდებიან. ყველა რაიონი რომ მიბაძავდეს გორს, გავჯანსაღებულვართ და ესაა. ჰოდა, თუ ხადური და რევაზიშვილი ამდენ დავიდარაბას არ შეუშინდნენ, შრომითაც ბევრი იშრომეს და ხარჯიც ბლომად გაიღეს, არა მგონია, რაიონის ხელმძღვანელებმა მათ რაიმეში ხელი შეუშალონ და შესაძლებლობის ფარგლებში მხარდაჭერა მოაკლონ. აკი დახმარებას შეპირებიან კიდეც, ხოლო შეპირებულს შესრულება უნდა.

**მამუკა ქვანტალიანი**

## კაჭარავაც „ჰომბურგში" ითამაშებს

გერმანიის რეგიონალური ლიგის „ჰომბურგში" ნემსაძისა და რეზო არველაძის წამოსვლის შემდეგ კიდევ ერთ ქართველს უხმეს — ასევე რეგიონალლიგის „ტენის-ბორუსიას" თავდამსხმელს კახი კაჭარავას. შეგახსენებთ, რომ მას „ჰომბურგში" დახვდება მეკარე ნიკა ჩხეიძე, რომელმაც ამ გუნდთან კონტრაქტი კიდევ ორი წლით გააგრძელა.

# ... თხამ ვენახი შეჭამა

მეორე ჩემპიონატიდან მოყოლებული, ჩვენი პირველობების კალენდარიც ისე დგება, როგორც მთელს საფეხბურთო ევროპაშია მიღებული. ჩემპიონი უფრო სუსტად მიჩნეულ დებიუტანტს ხვდება, ვერცხლის პრიზიორი პირველ ნომრად აღიარებულ ახალბედას, ბრინჯაოსანი გავარდნას სასწაულით გადარჩენილთ და ასე მოდის ცხრილის შუამდე, ვიდრე წინა გათამაშების „მეზობლები" არ შეხვდებიან ერთურთს და I ტურის ბოლო წყვილი არ გამოვლინდება. თანაც მასპინძლობას ზემოურები იჩემებენ. ეკუთვნით, რას ერჩი? ამ სისტემის „სიკეთე", წლევანდელზე რომ არ ვთქვათ, წინა სეზონთა გახსნის ტურებშიც გვინახავს, მაგრამ წლევანდელი პირველი ტური მაინც განუმეორებელი გახლდათ. სისტემაზე რომ ვიწუწუნოთ, რა შეიცვლება? ბევრიც არაფერი. „დინამოსა" და „სამგურალის" განსხვავება აბა რა მოსატანია, როცა იტალიის სერია A-ს დებიუტანტი „ვერონა" „მილანს" უნდა მიეახლოს „სან-სიროზე". შევეშვათ. უბრალოდ, ჩვენი ვთქვათ, ჩვენი დავიჩივლოთ. წლევანდელზე საუბრისას შარშანდელს, შარშანწინდელს, თუ საჭიროა, იმის წინანდელსაც გადავწვდეთ.

თითქოს ამ ერთი კვირის წინ იყო, VII ჩემპიონატის I ტურის ანგარიშები რომ „ჩამოიყარა". ელდა გეცემოდა კაცს. უკლებლივ ყველა მასპინძელს მოეგო, ისევე, როგორც ერთი წლის წინ. დაფიქრდებოდი და დაიმშვიდებდი ცოტათი თავს. ისევ ის გაგახსენდებოდა, იმ უბადრუკი სისტემისა და ძლიერთა მასპინძლობის ამბავი. შარშან არ იყო, ყველა სტუმარმა რომ წააგო? არცა ჰქონიათ მოგების შანსი. მხოლოდ ერთი, „შევარდენი" იყო, „მეტალურგს" რუსთავში 2:0 რომ უგებდა და მერე 2:3 წააგო თუ წააგებინეს. წელს რაღაო? ვიდრე „სამტრედია" — „გურიას" ანგარიშს შევიტყობდით, ჭკუიდან შესაშლელი სურათი გვქონდა თვალწინ. შვიდმა სტუმარმა მშრალად წააგო და აქედან ხუთმა დიდი ანგარიშით. მხოლოდ „ოდიშმა" და „სიონმა" გაუმართეს მეტოქეს შეუპოვარი, ნამდვილი ბრძოლა. პირველი პირველი ტაიმის მიწურულს გაშვებულმა გოლმა გატეხა, მეორე კი მატჩის მიწურულს დაშამათდა. ბარემ ესაც ვთქვათ: რვა შეხვედრიდან ხუთის მონაწილეებმა შვიდი დუბლი გააკეთეს, აქედან სამი დინამოელი გახლდათ. ეს თავისთავად ერთობ იშვიათი რამ არის, სულაც ჩვენი ჩემპიონატის რეკორდია. ამ შვიდი ფეხბურთელიდან სამი თავისი გუნდის ახალწვეული გახლდათ. ბარაქალა მასპინძლებს, ღირსეულთათვის დაუდგამთ თვალი. თუმცა არა. ერთი მათგანი მოურიდებელი სტუმარი დათო გოდერძიშვილი გახლდათ. მან სამტრედიაში შეძლო ორი გოლის გატანა და ამით გამოირჩა სხვა „დუბლიორებში". თუმცა განა მარტო ამით? მან ხომ თავის გუნდს, ერთადერთს, გასვლაზე მოაგებინა „გურიას" გამარჯვება, იცოცხლე, კარგია. იქნებ ეშველოს ამ ძველ ფავორიტს, წამოდგეს ფეხზე. აი, „სამტრედიის" წაგება-დაჩაჩანაკებაა სამწუხარო. გვეცლება ხელიდან ბოლო სამი ჩემპიონატისთვის ინტრიგის შემქმნი ერთ-ერთი გუნდი. სტატისტიკოსებისთვის, ისეთთათვის, მხოლოდ ციფრებით რომ საზღვრავენ გუნდის სისუსტე-სიძლიერეს, იქნებ მოულოდნელიც იყო ამ მატჩის შედეგი. „სამტრედიას" ხომ 1994 წლის 28 ივნისის შემდეგ, როცა „დინამოსთან" 0:1 დამარცხდა, შინ ერთადერთხელ წაეგო, ისიც „ოდიშთან" მეტად საეჭვო ვითარებაში. ეს 1995-ის 31 მაისს იყო ბოლო ტურში. მაშინ „სამტრედიას" სამი ქულაც ველარას შველოდა, ჩემპიონობისთვის ბრძოლა წაგებული ჰქონდა, ზუგდიდი კი ხუთეულში შესასვლელად იბრძოდა და ეშველა: თავად ხომ მოიგო, მასზე წინ მყოფ „ტორპედოს" „საპოვნელასთან" 11:4 მოგებული მატჩის შედეგი გაუუქმეს, ჩაწყობილი იყოო, და წაგება ჩაუთვალეს. ზუგდიდელთა მიერ სტუმრად მოგებული თამაშის ანგარიშის გადახედვა კი არავის მოსდომებია. ეს სხვა საუბრის თემაა. ფიქრი სხვა კალაპოტში გადავაგდეთ. შენაკადებს შევეშვათ, ისევ „დედამდინარეს" დავუბრუნდეთ. ახლა ის ვთქვათ, ბოლოს როდის მოიგო „გურიამ" სტუმრად. არც ისე დიდი ხნის წინ: წელს, 5 მაისს. იცით, ვის მოუგო? სხვას ვის გაამწარებდა — ყვარლის „დურუჯს" (5:3). მანამდე ლანჩხუთელებს სტუმრად მოგება კარგა ხანს არ აღენიშნათ. ბოლოს ეს 1994 წლის 10 სექტემბერს იყო, თერჯოლაში „საპოვნელა" რომ დაამარცხეს 4:1. ასეა, ფასეულობათა გადაფასება ხდება. თუმცა, ჯერ დრომ უნდა გვაჩვენოს, რამდენად ლოგიკური იყო ამ ხელიხელსაგოგმანებელი „სამტრედია" — „გურიას" მატჩის შედეგი. განახლებულ ჩემპიონატზე ბჭობა წინასთან გა[illegible] დაჭწყეთ. იყო კიდევ ერთი რამ, რამაც გვაფიქრა და გვაეჭვ[illegible] ბი რომ ჰყავს, [illegible] შემთხვევაში, მისი სახელიდან ჩანს, „შევარდენი 1906", წელსაც შეცვლილი და, რაც მთავარია, დებიუტანტებმოჭარბებული წარდგა მეტალურგყოფილი „გორდას" წინაშე. ამ სეზონის წინ „შევარდენი" „უნივერსიტეტს" შეუერთდა და რაღაც უცნაური სიმბიოზი ჩამოყალიბდა თსუ-„შევარდენი 1906". ამ ფაქტზე ყურადღებას არ გავამახვილებდით, შარშანდელი თუ იმის წინანდელი ამბები რომ აღარ გვახსოვდეს. შარშანაც ეგრე იყო. „შევარდენმა" რკინიგზელთა „მერანი-ბაჩო" შეიერთა და „ლოკომოტივი-შევარდენი 1906" დაირქვა. მეორე წრეში მისგან მხოლოდ „შევარდენიღა" დარჩა. მოთამაშენი კი მაინც შემორჩნენ. ამ „ბაჩოს" თავის დროზე „მერანი", მანამდე კი „მგლები" შეეერთებინა, რომელსაც ამხანაგური საერთაშორისო მატჩიც კი ეთამაშა თურქეთის „რიზესფორთან". ჰოდა, ეს შეერთებანი ბოლოს იმით დასრულდა, რომ სხვები აღიგავენ პირისაგან მიწისა, „შევარდენი" კი დარჩა. შარშანწინ „შევარდენმა" „თეთრი არწივი" გაჰკორტნა. ჯერ თავად შეუძვრა ფრთებქვეშ, მერე კი ისიც მოინელა. ახლა ისე ჩანს, II წრიდან „შევარდენი" „უნივერსიტეტმა" უნდა გადაყლაპოს, რაკიღა I ჯგუფში ადგილი უყიდია, მაგრამ ვინ ვის შეჭამს, ეს კიდევ საკითხავია. შევარდნებს მადა ბოლოსკენ ეხსნებათ ხოლმე. ბოლო რაა? ამ დაუსრულებელ „ინტეგრაციის" პროცესში თბილისს მეორე ნორმალური გუნდი არ ჰყავს. ეს მაშინ, როცა სამის გამოყვანაც მშვენივრად შეუძლია. ბოლო კიდევ ის არის, რომ თუ შარშან „შევარდენმა" ბრძოლაში წააგო „მეტალურგთან" წელს დიდი ანგარიშით დამარცხდა.

შეგვაშინოს ამ დიდმა სხვაობამ სტუმარ-მასპინძელს შორის? არც კი ვიცით. ფაქტია, გუნდებს გონს მოსვლა და ფორმაში შესვლა უნდა ვაცადოთ. თუმცა, უმალ ჩემპიონატი დამთავრდება, ვიდრე ესენი, უკლებლივ ყველა, აზრზე მოვლენ და ფორმაშიც შევლენ. მაინც ვნახოთ.

**ვახტანგ ბზიკაძე**


## პირველად ევროპაში!
### 6 აგვისტოს თბილისის «დინამოსა» და ნორვეგიის «მიოლდეს» თამაშზე



MADE IN USA

შვება - პაპანაქება სიცხეში

გრილი ყელსაბამი ამერიკიდან

"COOL TIE" - "ქულთაი"

არის სპეციალური წყლის შემსრუტავი გრილი ყელსაბამი, რომელიც 15-20 წუთით უნდა ჩადოთ ცივ წყალში, რის შედეგად "ქულთაი" განიერდება და ინარჩუნებს სიგრილეს დღის განმავლობაში!

სიამოვნებას მოჰგვრის ყველას: ბავშვებს, მოზარდებს, ასაკოვან ხალხს (წნევიანებს განსაკუთრებით).

რეკომენდირებულია ამერიკის ექიმთა ასოციაციის მიერ.

"ქულთაი" - პაპანაქება სიცხეში მართლაც რომ სასწაულმოქმედია.

ნამდვილი საჩუქარი გულშემატკივრებისათვის.

შეიძინეთ და დარწმუნდებით

დიდი არჩევანი ფერებში, მრავალჯერადი გამოყენება და რაც მთავარია მინიმალურ ფასებში.

LEMA INTERNATIONAL TRADING. INC

სარბიელი

# სპორტული ლატარეა "CROCO"

## რუსეთის ჩემპიონატი. 21-ე ტური

7 აგვისტო

| | | | |
|---|---|---|---|
| ზენიტი — როსტსელმაში | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ბალტიკა — კამაზი | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| ლოკომოტივი (მოსკოვი) — კრილია სოვეტოვი | 1,3 | 2,8 | 5,6 |
| ლადა — ურალმაში | 1,25 | 3,0 | 5,6 |

## ინტერტოტოს თასი. ბოლო წრე. პირველი თამაშები

6 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| სტანდარდი (ბელგია) — კარლსრუე (გერმანია) | (2,8-1,3) | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| როტორი (რუსეთი) — გინგამი (საფრანგეთი) | (1,8-1,6) | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| სეგესტა (ხორვატია) — სილკებორგი (დანია) | (1,6-1,8) | 1,4 | 3,0 | 4,0 |

## უეფას თასის შესარჩევი წრე. პირველი მატჩები

6 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| კოშიცე (სლოვაკეთი) — სელტიკი (შოტლანდია) | (2,5-1,35) | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ლეგია (პოლონეთი) — ჰაკა (ფინეთი) | (1,05-7,5) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| რაპიდი (რუმინეთი) — ლოკომოტივი (ბულგარეთი) | (1,6-1,8) | 1,4 | 2,8 | 4,4 |
| შლემა (მალტა) — ოდენსე (დანია) | (7,5-1,05) | 3,8 | 2,8 | 1,5 |
| ირაკლისი (საბერძნეთი) — აპოელი (კვიპროსი) | (1,15-4,0) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| კროაცია (ხორვატია) — სპარტაკი (რუსეთი) | (1,7-1,7) | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| პარტიზანი (იუგოსლავია) — ნაციონალი (რუმინეთი) | (1,35-2,5) | 1,25 | 3,0 | 5,6 |
| ლუნგბიუ (დანია) — მურა (სლოვენია) | (1,35-2,5) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ჰალმშტადი (შვედეთი) — ვარდარი (მაკედონია) | (1,35-2,5) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| დინამო (მოსკოვი, რუსეთი) — იაცი (ფინეთი) | (1,05-7,5) | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| ჟალგირისი (ლიტვა) — აბერდინი (შოტლანდია) | (3,1-1,25) | 2,3 | 2,4 | 2,3 |
| ვასუტასი (უნგრეთი) — ბერი თაუნი (უელსი) | (1,1-5,0) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| ჰელსინბორგი (შვედეთი) — დინამო 93 (ბელარუსი) | (1,55-1,9) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ჰაიდუკი (ხორვატია) — ტორპედო (რუსეთი) | (1,6-1,8) | 1,5 | 2,7 | 4,0 |
| არაუ (შვეიცარია) — ლანტანა (ესტონეთი) | (—-10,0) | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| დინამო (მინსკი, ბელარუსი) — ბეშიქთაში (თურქეთი) | (2,0-1,5) | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| ჰიკი (ფინეთი) — ჩერნომორეცი (ოდესა, უკრაინა) | (2,8-1,3) | 1,8 | 2,7 | 2,7 |
| გრაცი (ავსტრია) — ვოივოდინა (იუგოსლავია) | (1,55-1,9) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ქსამაქსი (შვეიცარია) — ანორთოსისი (კვიპროსი) | (1,15-4,0) | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| სიგმა (ჩეხეთი) — ჰუტნიკი (პოლონეთი) | (1,5-2,0) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| აკრანესი (ისლანდია) — ცსკა (რუსეთი) | (7,5-1,05) | 4,0 | 3,0 | 1,4 |
| ტიროლი (ავსტრია) — სლავია (ბულგარეთი) | (1,5-2,0) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| სლოვანი (სლოვაკეთი) — ტრაბზონსპორი (თურქეთი) | (2,0-1,5) | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| სკონტო (ლატვია) — მალმიო (შვედეთი) | (5,0-1,1) | 2,7 | 2,7 | 1,8 |
| ბეითარი (ისრაელი) — ბოდო გლიმტი (ნორვეგია) | (1,7-1,7) | 1,4 | 3,0 | 4,0 |

## ჩემპიონთა თასის წინასწარი წრე. პირველი თამაშები

7 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| მაკაბი (თელ-ავივი, ისრაელი) — ფენერბაჰჩე (თურქეთი) | (2,3-1,4) | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| რეინჯერსი (შოტლანდია) — ალანია (რუსეთი) | (1,7-1,7) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| პანათინაიკოსი (საბერძნეთი) — რუსენბორგი (ნორვეგია) | (1,2-3,5) | 1,15 | 3,1 | 7,0 |
| გიოტებორგი (შვედეთი) — ფერენცვაროში (უნგრეთი) | (1,3-2,8) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| ვიძევი (პოლონეთი) — ბრონდბიუ (დანია) | (1,7-1,7) | 1,6 | 2,8 | 3,2 |
| გრასჰოპერი (შვეიცარია) — სლავია (ჩეხეთი) | (1,6-1,8) | 1,5 | 2,8 | 3,8 |
| ბრიუგე (ბელგია) — სტიაუა (რუმინეთი) | (1,6-1,8) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| რაპიდი (ავსტრია) — დინამო (კიევი, უკრაინა) | (1,5-2,0) | 1,3 | 3,0 | 5,0 |

## თასების თასის შესარჩევი წრე. პირველი თამაშები

8 აგვისტო

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ოლიმპია (სლოვენია) — ლევსკი (ბულგარეთი) | (2,8-1,3) | 1,7 | 2,7 | 3,0 |
| ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) — ჰართსი (შოტლანდია) | (1,3-2,8) | 1,3 | 3,0 | 5,0 |
| ყარაბაღი (აზერბაიჯანი) — მიუპა (ფინეთი) | (5,0-1,1) | 2,0 | 2,5 | 2,5 |
| კოტაიკი (სომხეთი) — აეკი (ლარნაკა, კვიპროსი) | (1,6-1,8) | 1,35 | 3,0 | 4,0 |
| ლა ვალეტა (მალტა) — გლორია (რუმინეთი) | (7,5-1,05) | 3,4 | 3,0 | 1,5 |
| ფრანი (ნორვეგია) — შელბურნი (ირლანდია) | (1,6-1,8) | 1,5 | 2,9 | 3,6 |
| გლენტორანი (ჩრდ. ირლანდია) — სპარტა (ჩეხეთი) | (7,5-1,05) | 5,0 | 3,0 | 1,3 |
| ჰემლონი (სლოვაკეთი) — ფლამურტარი (ალბანეთი) | (1,15-4,0) | 1,2 | 3,0 | 6,5 |
| მრკს (ბელარუსი) — რეიკიავიკი (ისლანდია) | (1,5-2,0) | 1,4 | 3,0 | 4,0 |
| ვარტექსი (ხორვატია) — უნიონი (ლუქსემბურგი) | (1,05-7,5) | 1,1 | 3,2 | 8,0 |
| სიონი (შვეიცარია) — კარედა (ლიტვა) | (—-10,0) | 1,05 | 3,4 | 10,0 |
| კონსტრუქტორული (მოლდოვა) — ირონი (ისრაელი) | (2,8-1,3) | 1,7 | 2,8 | 2,9 |
| ლანსენტფრეიდი (უელსი) — რუხი (პოლონეთი) | (10,0-—) | 5,0 | 3,4 | 1,2 |
| ჰონვედი (უნგრეთი) — სლოგა (მაკედონია) | (1,1-5,0) | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| უნივერსიტატე (ლატვია) — ვადუცი (ლიხტენშტეინი) | (1,15-4,0) | 1,15 | 3,2 | 6,5 |
| სადამი (ესტონეთი) — ნივა (ტერნოპოლი, უკრაინა) | (7,5-1,05) | 4,0 | 3,0 | 1,4 |

ფსონების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ.

ფსონები მიიღება ყოველდღე ორშაბათის და ხუთშაბათის გარდა კინოთეატრ „რუსთაველის" ფოიეში, ფურცელაძის ქუჩის მხრიდან 13-დან 16 საათამდე

*ყურადღება!*

*ამ კვირას „კროკო" იმუშავებს ხუთშაბათსაც*

# CROCO-2

## ტირაჟი №49

ეროვნული ბიბლიოთეკა

### უეფას თასი

1. კოშიცე — სელტიკი
2. კროაცია — სპარტაკი
3. დინამო (თბილისი) — მიოლდე
4. ჟალგირისი — აბერდინი
5. ჰაიდუკი — ტორპედო
6. დინამო (მინსკი) — ბეშიქთაში
7. ჰიკი — ჩერნომორეცი
8. სლოვანი — ტრაბზონსპორი

## ტირაჟი №50

### ჩემპიონთა თასი

1. მაკაბი — ფენერბაჰჩე
2. რეინჯერსი — ალანია
3. პანათინაიკოსი — რუსენბორგი
4. გიოტებორგი — ფერენცვაროში
5. ვიძევი — ბრონდბიუ
6. გრასჰოპერი — სლავია
7. ბრიუგე — სტიაუა
8. რაპიდი — დინამო (კიევი)

## ტირაჟი №51

### II ბუნდესლიგა და თასების თასი

1. შტუტგარტერი — კაიზერი
2. მანჰაიმი — ფორტუნა (კიოლნი)
3. მაინცი — ლაიფციგი
4. ოლიმპია — ლევსკი
5. ყარაბაღი — მიუპა
6. კონსტრუქტორული — ირონი
7. ვალეტა — გლორია
8. ფრანი — შელბურნი

მოთამაშემ უნდა გამოიცნოს ტირაჟში მოცემული 8 მატჩის მხოლოდ ძირითადი დროის შედეგი. მოგებულად ჩაითვლება ბილეთი, რომელშიც გამოცნობილია 8 მატჩის შედეგი. მინიმალური მოგება 50 ლარია, მაქსიმალური კი — 1000 ლარი. ერთ ბილეთში შევსებული ვარიანტების რაოდენობა შეზღუდული არ არის.

თუ ტირაჟში შეტანილი რომელიმე მატჩი არ ჩატარდა, ჩაიშალა ან შეიცვალა მოედანი, ტირაჟი გაუქმებულად ცხადდება და მოთამაშეებს თანხა უბრუნდებათ.

ერთი ვარიანტის ღირებულებაა 1 ლარი.

მოგების ფონდს ემატება **JACK POT**

# ოლიმპი გაშავდა

## ფინალი

### ნიგერია 3:2 არგენტინა

Atlanta 1996

**ნიგერია: დოსუ, ბაბაიარო, ვესტი, კანუ, უწე, ოლისე, ოკოჩა (ლავალი 58), ამოკაში, ობარაკუ (ორუმა 60), იკპება (ამუნიკე 67), ბაბანგიდა**

**არგენტინა: კაბალერო, აიალა, შამოტი, ძანეტი, ალმეიდა, სენსინი, ლოპესი, კრესპო, ორტეგა, მორალესი (სიმეონე 57), ბასედასი**

**გოლი: ლოპესი (2), ბაბაიარო (27), კრესპო (50), ამოკაში (73), ამუნიკე (90)**

**გაფრთხილება: სენსინი, ოლისე, ორუმა**

**მსაჯი: პ. კოლინა (იტალია)**

თამაში არგენტინელებმა დაიწყეს და მა[...]ე გოლიც გაიტანეს. ეს მე-2 წუთზე მო[...]და, როდესაც ძანეტიმ მარჯვენა ფრთაზე, [ც]ენტრიდან კარგი პასი მიიღო, კუთხურის [ხ]აზამდე ირბინა, საიდანაც ჩაჰკიდა და კლა[...]დიო ლოპესს ბურთი თავზე დაასვა. ლო[პე]სის დარტყმა ზუსტი იყო.

„სწრაფი" გოლი, ხშირად, თამაშის ხა[სი]ათს განსაზღვრავს ხოლმე. იღბლიანებს, [გო]ლი რომ შეაგდეს, ფსიქოლოგიური სტი[მ]ული ეძლევათ, უიღბლოებს კი ხასიათი [ე]ფუჭდებათ. ოლიმპიადის ფინალში ასე არ [მო]ხდა. ის კი არა, მერე ნიგერიელებს უა[ღრე]სიც დაატყდათ თავს, მაგრამ როცა გუ[ნ]დი მართლა უმაღლესი კლასისაა და თა[ვი]სი საქმე იცის, იოლად არ ტყდება.

ყველაფერს თანმიმდევრულად მივყვეთ. [ი]ს, მე-10 წუთისთვის მოედანზე შემდეგი [ს]ურათი გამოიკვეთა: გუნდები, მეტოქეთა [აქ]ტიური თავდაცვის გამო, მრავალპასიან [კო]მბინაციებს მაინცდამაინც ვერ ათამაშე[ბ]დნენ. ბურთისთვის ბრძოლა უპირატესად [მო]ედნის ცენტრალურ რაიონში ჩაღდებოდა [დ]ა გრძელი პასით თანაგუნდელის უშუა[ლ]ოდ საჯარიმოს სიახლოვეს გაყვანა ყვე[ლ]აზე მართებულ ტაქტიკურ იარაღად მოს[ჩა]ნდა. ეს გასაგებიც იყო. არგენტინა მო[კ]ლე პასებით და პატარა მონაკვეთებზე რი[ც]ხვობრივი უპირატესობის შექმნითაა ცნო[ბი]ლი, რის საპირისპიროდ შუა მოედნის [ს]წრაფოდ გადაკეტვა ფრიად ლოგიკური კო[ნ]ტრსვლა გახლდათ. რაც შეეხება ნიგერი[ა]ს, იგი ტექნიკური, სწრაფი და ძალიან [გ]ონიერი მოთამაშეებითაა დაკომპლექტებუ[ლ]ი, რომელნიც, თუ ამ ჯანის წილ ჯანი [ა]რ დაუხვედრე, გადაგთელავენ.

სწორედ შუა მოედანში გადაკეტილი სი[ვ]რცეების დასაძლევად გუნდებმა სხვადა[სხ]ვა ხერხები მოსინჯეს. ჯერ შორეული [და]რტყმები შეამოწმეს. იქით კრესპოს დარ[ტყ]მული დოსუმ აიღო, აქეთ იკპებასი ასცდა. [მე]-15 წუთზე ლოპესმა ერთი შეხებით უკან [და]აბრუნა ბურთი და თანაგუნდელისგან ასევე [სა]ხიფათო გრძელი პასი მიიღო. ლოპესი სა[ჯ]არიმოში შეჰვვა, მაგრამ ბურთი ცოტა გა[უ]ცა და შეტევა ველარ დაავგვირგვინა. მა[ლ]ე ნიგერიელთა სახიფათო შეტევა ოკოჩას [უ]ბოლო დარტყმით დასრულდა. შემდეგ ისევ [აფ]რიკელებმა შეუტიეს სწრაფად, მაგრამ [ბუ]რთი საჯარიმოში მოგროვილ ფეხებში [ჩა]იკლანდა. ამას კვლავ ზანგთა მცდელობა [დ]ა ამოკაშის მიერ ბურთის ძელისთვის მო[რ]ტყმა მოჰყვა.

მერე კი იყო გოლი. 27-ე წუთზე ანგარი[შ]ი გაიქვითა. ნიგერიელებმა მარჯვნიდან კუ[თ]ხური გაითამაშეს და ჩაჰკიდეს. სელესტინ [ბ]აბაიარო ათბალიანი ტალღასავით აზვი[ა]თდა და თაურით ოდნავ წინ გასულ გო[ლ]კიპერს და მის მცველებს შანსი არ დაუ[ტო]ვა.

არგენტინელებმა კვლავ ნაცადი კომბი[ნა]ცია გაითამაშეს. ლოპესი აბრუნებს და [გ]არბის, პასი ცენტრიდან მარჯვნივ ორტე[გა]ს მისდის, ის საჯარიმოშია და კვლავ [ლ]ოპესს აძლევს, ოღონდ თავდამსხმელი ზე[დმ]იანად ვერ იხელთებს ბურთს დასარტყ[მე]ლად.

36-ე წუთი. კანუ ბაბანგიდას საჯარიმო[შ]ი მეტად მახვილგონივრულ პასს აწვდის, [მა]გრამ ბაბანგიდას დარტყმას კაბალერო ეუ[ფ]ლება. ვალში არც სამხრეთამერიკელები [რ]ჩებიან. ჯარიმიდან ბურთს შორეულ ძე[ლ]თან აწვდიან, იქედან ბურთს თავით შუა[შ]ი აგდებენ, ოღონდ ლოპესის მაკრატელა[სე]ბური დარტყმა კვლავ უშედეგოა — ბუ[რ]თი ფეხზე არ „მოაჯდა". ბოლოს იკპებამ [აი]ღო საჯარიმოს ხაზთან, მცველი მოატ[ყუ]ა, ბურთი გაისწორა და დაარტყა. ამჯე[რ]ადაც გოლკიპერმა იმარჯვა.

ამით უხვმომენტიანი და ამაღელვებელი [პი]რველი ტაიმი დასრულდა. მეორე ნახევა[რ]მა კი კვლავ მსოფლიოს ორგზის ჩემპიო[ნე]ბს გაუღიმა. თამაში ხუთი წუთის განახ[ლე]ბული იყო, რომ ორტეგა ნიგერიელთა [ს]აჯარიმოში მარჯვენა მხრიდან შეიჭრა. მას [ჭ]კვიანი მცველი, ვესტი მოსდევდა. ვესტს [ა]რაფერი დაუშავებია, ორტეგა კი წაიქცა. [იტ]ალიელმა არბიტრმა ეს ეპიზოდი წესის [და]რღვევად აღიქვა და ხელი თერთმეტმეტ[რი]ანის ნიშნულისკენ გაიშვირა. კრესპომ ბუ[რ]თი მეკარისგან მარცხენა კუთხეში დაა[რ]ტყა. დოსუმ მიმართულება კი გამოიცნო, [მა]გრამ ვერ მისწვდა.

აქ ნიგერიამ კიდევ ერთხელ და უფრო [მ]ტკიცედ დაამტკიცა, რომ ჩამოყალიბებული, [ძ]ლიერესი გუნდია. ერთ თამაშში მეორე უიღბლობასაც არ აჰყვა. ყველაზე ემოციური, რაც იყო, ვესტმა მსაჯს თითის გაქნევით აჩვენა, შეგეშალათ, ბატონოო და მორჩა. გაგრძელდა თამაში. თერთმეტმა აფრიკელმა ბიჭმა თანმიმდევრულად და დაჟინებით გააგრძელა იმის კეთება, რაც იცოდნენ, რომ კარგად ეხერხებათ და აკი მიზანს მიაღწიეს კიდეც. აქ უპრიანია კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, რომ ნახევარფინალში მათ ბრაზილიელ კორიფეებს 1:3-იდან 4:3 დაუმთავრეს თამაში. თან შუაში პენალტიც გააცუდეს, მაგრამ გონი არ დაჰკარგეს და საწადელი აისრულეს. მათი იგივე სული აგერ ფინალშიც გამოჩნდა.

ნერვებს არ ავყვეთო, ნიგერიელებს ისე მტკიცედ ჰქონდათ გადაწყვეტილი, რომ მეორე გაშვებული გოლის შემდეგ ერთი პირობა ნამეტანი მშვიდი თამაში გააჩაღეს. კაცი იფიქრებდა, ესენი იგებენო. ბუნებრივია, ამაში არგენტინელთა წვლილიც დიდი იყო, მათ ბურთი დაიჭირეს. შემდეგ კი მაინც გამწვავდა. ამის პირველი ნიშანი იკპებას მიერ სენსინის თავიდან ასხლეტილის



ბაბაიაროს სიხარულის სალტო

გაუჩერებლად დარტყმა იყო, ცოტათი რომ ასცდა. შემდეგ აფრიკელთა საჯარიმოში კვლავ ვესტის და ორტეგას დუელი გაიმართა. აქ კი მოგვეჩვენა, რომ ვესტმა წესი ნამდვილად დაარღვია, მეტოქის ფინტზე წამოგებულმა მას უნებლიე კვანტი გამოსდო, მაგრამ მსაჯმა მეორე პენალტის მიცემა ვეღარ გაბედა.

65-ე წუთზე ნიგერიამ ზედიზედ ორი კუთხური ჩააწოდა — დაწოლას აძლიერებდა. ამ მომენტში ბურთმა კარგა ხანს იტრიალა არგენტინელთა საჯარიმოში, მაგრამ მეტი არაფერი. სამაგიეროდ, 73-ე წუთზე კარის ხაზი გადაიკვეთა — ამოკაშიმ კვლავ გაათანაბრა ანგარიში. ყველაფერი აუტიდან დაიწყო. ხელით ბურთი საჯარიმოში ბაბაიარომ ჩააგდო, კანუმ კეფით უფრო ღრმად გადასცა, ამოკაშიმ კი მუხლით გაიჩერა და მყისვე მარჯვენათი ამოჰკრა — 2:2.

81-ე წუთზე კუთხურიდან კანუმ უთაურა, მაგრამ კაბალერომ ნახტომით კუთხურზე მოიგერია. არგენტინელების პასუხი ასეთი იყო: აიალას პასით კრესპომ გაუჩერებლად და ლამაზად გაისროლა, ოღონდ ააცილა. მერე საჯარიმოში კრესპომ ლოპესს დაუგდო, ლოპესმა დასარტყმელი მომენტიც შეირჩია, მაგრამ უშედეგოდ.

და 90-ე წუთი. ახალშესული ემანუელ ამუნიკეს წაქცევისთვის მარცხენა ფრთიდან ჯარიმა დაინიშნა. ბურთი საჯარიმოში ჩაჰკიდეს. არგენტინელებმა ხელოვნური ოფსაიდის შექმნა სცადეს — თავად ჯგუფურად გამოვარდნენ, ნიგერიელთა ასეთივე ჯგუფი კი ჩასტოვეს, მაგრამ თანამსაჯმა ალამი არ აღმართა. ბურთი ამუნიკეს მიუვიდა. ემანუელმა კი თავისი საქმე იცის.

ამის შემდეგ კოლინამ კიდევ ხუთი წუთი ათამაშა გუნდები. ნიგერიელებმა დაცვაში ჩაკეტვის ნაცვლად დროის ამ მონაკვეთშიც შეძლეს ხიფათის შექმნა, მაგრამ კანუმ კაბალეროს ვერ აჯობა. აღარც იყო საჭირო. ნიგერია ღირსეულად გახდა ოლიმპიური ჩემპიონი.

## მე-3 ადგილისთვის.

### ბრაზილია 5:0 პორტუგალია

ნიგერიის ჯავრი ბრაზილიელებმა პორტუგალიელებზე იყარეს. პირველ ტაიმში ჯერ რონალდინიომ გახსნა ანგარიში, ხოლო ულამაზესი სამსვლიანი კომბინაცია კონსეისაომ მეორე გოლით დაამთავრა.

მეორე ტაიმი კი ბებეტოსი აღმოჩნდა. მსაჯმა, პორტუგალიელთა მცველმა და მეკარემ იგი უხვად დაასაჩუქრეს, ალბათ, მისი დაბადების დღე ეგონათ — მსაჯმა არარსებული პენალტი დანიშნა, მცველმა პირისპირ გაიყვანა მეკარესთან, ამ უკანასკნელმა კი ფეხით ძალზე წინ გააგორა ბურთი. ბებეტომ სამივე საჩუქარი შეიფერა, ჰეთ-ტრიკი გააკეთა და პორტუგალიელთა განადგურების საქმეც ბოლომდე მიიყვანა.

# ენდი დასნეულდა

„მანჩესტერ იუნაიტედის" თავდამსხმელი ენდი კოული ახალი სეზონისთვის დიდი მონდომებით ემზადება, მაგრამ ბედმა უმუხთლა, პნევმონიით შეიქნა ავად. ეგონათ, ფორვარდს ბრონქიტი სჭირსო, მაგრამ არ გამართლდა. ახლა 24 წლის ფეხბურთელს ხუთკვირიანი მკურნალობა მოუწევს, რაც, უდავოა, ფორმიდან ამოაგდებს.

კოულს მართლაც უიღბლო პერიოდი უდგას. გასულ სეზონში იგი ყველა ღონეს ხმარობდა სასტარტო შემადგენლობაში ადგილის დასამკვიდრებლად. მისი კონკურენტი პოლ სქოულზი გახლდათ. კოული ინგლისის თასის ფინალშიც გამოცვალეს. არადა, 1995 წლის იანვარში „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა მასში იმხანად სარეკორდო თანხა — 7 მილიონი გირვანქა გადაუხადა „ნიუკასლს". ცოტა ხნის წინ, მანჩესტერელებმა „ბლექბერნისგან" ალან შირერის ყიდვა რომ მოიწადინეს, „ევერტონს" გაუხარდა. იფიქრა, ამათ კოული აღარ დასჭირდებათ და მე მომყიდიანო, მაგრამ, მოგეხსენებათ, შირერი „ნიუკასლს" ხვდა და ევერტონელთა გეგმაც ჩაიშალა.

# სიცრუე და ორპირობა

ხორვატიის ნაკრების ნახევარმცველი გორან ვლაოვიჩი და გლაზგოს „სელტიკის" ცენტრალური მცველი ალან სტაბსი ფიფამ 50 ათასი შვეიცარიული ფრანკით ანუ 41 500 დოლარით დააჯარიმა.

ფიფას გამოძიებამ დაადგინა, რომ სტაბსის აგენტს ნილ რიოქს ფეხბურთელის ინგლისური „ბოლტონ უონდერერზიდან" შოტლანდიის „სელტიკში" გადასაყვანად ლიცენზია არ ჰქონდა. დაჯარიმდა „სელტიკიც". მას ახლა 75 ათასი შვეიცარიული ფრანკი (62 240 დოლარი) აქვს ციურიხში გადასარიცხი. თან გუნდს დაემუქრნენ კიდეც, თუ ასეთი რამ განმეორდება, ყოველგვარ სატრანსფერო მოღვაწეობას შეგიჩერებთო.

რიოქმა თავი იმით იმართლა, რომ, მართალია, მას ლიცენზია არ ჰქონდა, მაგრამ სხვა, ლიცენზიის მქონე აგენტის სახელით მოქმედებდა. ეს განცხადება ვერდიქტის გამოტანისას ფიფამ გაითვალისწინა.

რაც შეეხება ვლაოვიჩს, რომელიც იტალიურ „პადოვაში" თამაშობდა, მას ერთდროულად, სულ მცირე ორ გუნდთან ჰქონდა ახალი კონტრაქტი დადებული. ამ ორიდან ერთია „ნაპოლი", მეორე კი ესპანური „ვალენსია". ამბობენ, ამ ორის გარდა მას ბარსელონის „ესპანიოლთანაც" ჰქონია ხელი მოწერილიო, მაგრამ ეს ცნობა არ დადასტურებულა. ვლაოვიჩის აგენტი, რომელსაც ლიცენზიასთან დაკავშირებით ყველაფერი წესრიგში ჰქონდა, 50 ათასი შვეიცარიული ფრანკით (41 500 დოლარი) დააჯარიმეს. გარდა ამისა, მას სამი თვით ჩამოართვეს საქმიანობის უფლება. ფიფამ განაცხადა, ვლაოვიჩის კონტრაქტი „ნაპოლისთან" იტალიაში დაკანონებულ სატრანსფერო წესებს ეწინააღმდეგებაო და იტალიის ფეხბურთის ფედერაციას 15 აგვისტომდე მისცა საქმეში გარკვევის დრო. თუ ფედერაცია იტყვის, რომ ყველაფერი წესრიგშია, მაშინ „ნაპოლის" და „ვალენსიას" მოუწევთ ვლაოვიჩის საქმის განხილვა, რათა გაარკვიონ, საბოლოოდ რომელს ეკუთვნის ფეხბურთელი. მანამდე კი გორანი ვერსად ითამაშებს, თუმცა „ვალენსიასთან" ვარჯიშის უფლება აქვს.

# ფერგიუსონი გაგიჟდა

„მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელს ალექს ფერგიუსონს ვაჭრობის ციებ-ცხელება შეეყარა. თან სულ ყიდულობს. ჰყავს გიგზი, კანტონა, კოული, ჯორდი და მაინც არ ჰყოფნის, კიდევ უნდა. ახლა მას მიზანში აიაქსელი კლუივერტი ამოუღია.

— გავიგე, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი" კლუივერტითაა დაინტერესებული — თქვა „აიაქსის" მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა — მაგრამ მე ამ ფეხბურთელის გაყიდვა არ მსურს, რადგან ის ჩვენი ერთადერთი თავდამსხმელია.

მაგრამ ვან გაალი აღიარებს, რომ იგი შეიძლება აიძულონ და კლუივერტი გააყიდინონ. მაშინ:

— ყველა მოთამაშეს თავისი ფასი აქვს. ამასთან, არა მგონია, რომელიმე მოთამაშე 15 მილიონი ღირდეს. ჰოდა, თუ ასეთ თანხას შემომთავაზებენ, მაშინ შესაძლოა დავფიქრდე.

„იუნაიტედი" კი, თქვენ წარმოიდგინეთ, მაინც მსჯელობს, შესთავაზოს თუ არა 20 წლის თავდამსხმელში ასეთი თანხა. ეტყობა, ფერგიუსონმა ალან შირერის ხელიდან გაშვება ვერ მოინელა. შირერი ხომ სწორედ 15 მილიონ გირვანქად (23,1 მილიონი დოლარი)ააცალა ხელიდან „ნიუკასლმა".

კლუივერტს კონტრაქტით „აიაქსთან" ერთი წელიწადი დარჩა, გაისად ამ დროს კი თავისუფალი აგენტი იქნება და ბოსმანის წესების თანახმად, სადაც მოესურვება იქ გადავა.

— იმედი მაქვს, პატრიკს ჩვენთან ახალ კონტრაქტს დავადებინებთ — განაგრძო ვან გაალმა — მარტო ფული ხომ არაა საქმე, კვლავ ჩემპიონობა გვინდა.

შეგახსენებთ, რომ კლუივერტს მაისში, კაცისთვის მანქანის დაჯახების გამო, 240 საათით საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა ჰქონდა მისჯილი.

ვან გაალი: — „აიაქსის" ყველა მოთამაშის ყიდვა სურთ, მაგრამ ჩვენ მათი დაკარგვა არ გვინდა. აკი ნიგერიელი ნვანკვო კანუ უკვე მოგვაკლდა, იგი მილანის „ინტერს" მივყიდეთ. ამით ბოლო ხუთ წელიწადში ჰოლანდიიდან იტალიაში გადასულ ფეხბურთელთა რიცხვი ოცამდე გაიზარდა.

ვან გაალმა გამოთქვა მოსაზრება, რომ ინგლისის პრემიერლიგისა და იტალიის სერია A-ს მიერ საზღვარგარეთელ ფეხბურთელთა გაუთავებელი ყიდვა საკუთრივ ამ ქვეყნების ფეხბურთს დააკნინებს.

— იტალიური ფეხბურთისთვის ეს მართლაც ცუდია, იგივე პრობლემას წააწყდებიან ინგლისელებიც, თუ უცხოელთა გამალებულ შეძენას არ მოეშვებიან. ჯობს ფული საკუთარი ფეხბურთის განვითარებაზე დახარჯონ — თქვა მან.

# რაღა დარჩა

პარასკევის დღის 4 საათამდე (გრინვიჩის დროით) მართლაც ცოტაა დარჩენილი. „მანჩესტერ იუნაიტედმა" კი თუ ამ დრომდე ვერ აახლა ინგლისის ფეხბურთის ასოციაციას ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციიდან მიღებული საბუთები ჯორდი კრუიფის ტრანსფერის ნებართვაზე, შეუძლია ჩაილურის წყალი დალიოს. არადა, თითქოს პრობლემა არ უნდა ყოფილიყო. ესპანური ფეხბურთის ხელმძღვანელებმა ინგლისელებს იმთავითვე უთხრეს, ყველაფერი რიგზეა, დოკუმენტებს ხვალ გაახლებთო. ეტყობა, ხვალ ზოგადი ცნებაა. ორშაბათისთვის ხვალ სამშაბათია, სამშაბათისთვის ოთხშაბათი და ასე შემდეგ. კრუიფი კი, რომელიც „ბარსელონიდან" მანჩესტერში 1,2 მილიონ დოლარად გადავიდა, წინა ხუთშაბათიდან ახალ გუნდში ვარჯიშობს.

— ჩვენ ვცდილობდით, ესპანეთიდან საბუთები დაუყოვნებლივ მიგვეღო, მაგრამ ბოლო დღეებია, მათგან სულ „მანიანა" (ესპანურად ნიშნავს — ხვალ) გვესმის — თქვა გაწბილებულმა მწვრთნელმა ალექს ფერგიუსონმა — ეს ძლიერ ცუდია, რადგან ერთადერთი, რაც გვინდა, ნებართვის დოკუმენტია, რომლის მიღების შემდეგ შევძლებთ, ჯორდის წითელი მაისური ჩავაცვათ. ჩვენ ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციასთან მუდმივ კონტაქტში ვართ, მაგრამ დრო გადის.

# ტრავმები

„ასტონ ვილას" ორი უცხოური შენაძენი, პორტუგალიელი ფერნანდო ნელსონი და სერბი სავო მილოშევიჩი ტრავმირებულები არიან. მათი 17 აგვისტოს (ჩემპიონატი იხსნება) მწყობრში ყოფნა საეჭვოა.

ნელსონი, რომელიც ინგლისურმა კლუბმა ივლისში, ლისაბონის „სპორტინგისგან" 1,75 მილიონ გირვანქად (2,7 მილიონი დოლარი) შეიძინა, ბარძაყის ტკივილს შეუპყრია, მილოშევიჩს კი აქილევსის მყესი აწუხებს. ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი საკონტროლო შეხვედრებს „რექსჰემთან" და „ოლდემთან" გამოტოვებენ.

მწვრთნელი ბრაიან ლითლი კი იხტიბარს არ იტეხს:

— ამ მატჩებში მათ არ ვათამაშებ, არ გავრისკავ. არ მინდა, ტრავმები გაუმიზეზდეთ. მათ რამდენჯერმე ივარჯიშეს და დარწმუნებული ვარ, სეზონის დასაწყისისთვის მზად იქნებიან.

# ნიფხავი

„ნიუკასლ იუნაიტედი" ალან შირერის ნიჭში 15 მილიონ გირვანქას კი იხდის, მაგრამ ვარსკვლავის ავტოგრაფიანი მოკრივის შორტი 200 სინგაპურულ დოლარზე (142 ამერიკული დოლარი) ძვირად ვერ გასაღდა.

როდესაც „ნიუკასლის" ვიცე-პრეზიდენტმა ფრედი შეფერდმა საქველმოქმედო აუქციონზე ზემოხსენებული შორტისთვის ვაჭრობა მოიგო, კლუბის მენეჯერმა მარკეტინგის დარგში შერონ კინგმა დაიყვირა: — ეი! განა ეს ნორმალურია? რატომ უნდა უნდოდეს ერთ კაცს მეორის ნიფხვისთვის ვაჭრობა?

ეს რომ გაიგო, „ნიუკასლის" მწვრთნელმა კევინ კიგანმა შორტი კინგს ხელებში ესროლა.

# უმბროს თასზე

ნოტინგემში შაბათ-კვირას გაიმართა „უმბროს" თასის გათამაშება — ოთხთა ტურნირი, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩემპიონთა თასის ფინალისტი ამსტერდამის „აიაქსი", ინგლისის ჩემპიონი „მანჩესტერ იუნაიტედი", „ნოტინგემ ფორესტი" და „ჩელსი".

ფინალში პრემიერლიგის „ჩელსიმ", რომელიც ახალშეძენილი იტალიელებითაა გაძლიერებული, „აიაქსს" 2:0 მოუგო. ინგლისურმა გუნდმა თავშივე გაიტანა გოლები. ორივეჯერ საგოლე პასი 4,9 მილიონ გირვანქად (7,56 მილიონი დოლარი) შეძენილმა რობერტო დი მატეომ მიაწოდა, ზუსტი საბოლოო დარტყმები კი კაპიტანმა დენის უაიზმა და რუმინელმა დან პეტრესკუმ შეასრულეს.

„ჩელსის" მთავარმა იტალიურმა შენაძენმა ჯანლუკა ვიალიმ კი ფრიად ხელსაყრელი მომენტი გაუშვა ხელიდან. ვიალი მეორე ტაიმში, შეცვლაზე შევიდა. მას მე-60 წუთზე მარკ ჰიუზმა ჩინებული მომენტი, მეკარესთან პირისპირ გაიყვანა, მაგრამ 31 წლის ყოფილმა იუვენტუსელმა ბურთი პირდაპირ მეტოქის გოლკიპერს ედვინ ვან დერ სარს გაარტყა.

მესამე ადგილისთვის ინგლისის ჩემპიონმა „მანჩესტერ იუნაიტედმა", შაბათს „აიაქსთან" 1:2 რომ წააგო, „ნოტინგემ ფორესტს" 3:1 მოუგო. სამივე გოლი „იუნაიტედმა" ბოლო 10 წუთში გაიტანა.

მე-20 წუთზე კევინ კემპბელმა გახსნა ანგარიში და საქმე ისე მიდიოდა, რომ ამ ერთადერთი გოლით თითქოს ნოტინგემელებს უნდა მოეგოთ, მაგრამ დევიდ ბექჰემმა, ბრაიან მაკკლეარმა და ფილ ნევილმა თამაშის ბოლოს იმძლავრეს და მასპინძლებს გამარჯვება გამოსტაცეს ხელიდან.

ტურნირის დამთავრების შემდეგ „აიაქსის" მწვრთნელმა ლუის ვან გაალმა თქვა:

— ნაკრების წევრი აიაქსელებისთვის ორ დღეში ორი თამაში მეტისმეტი იყო. ისინი ხომ საწვრთნელი შეკრებიდან ორი კვირის დაბრუნებულები იყვნენ. უფრო ახალგაზრდები კი ოთხი კვირაა, დაბრუნდნენ და ამიტომაც ითამაშეს „ჩელსისთან" ცუდად. ჩვენ კვლავ თავშივე შევქმენით ორი სახიფათო მომენტი, მაგრამ ვერ გამოვიყენეთ, „ჩელსიმ" კი ორივე თავისი მომენტი გოლად აქცია. ამის მერე საქმის გამოსწორება, ტრადიციულად, ძნელია.

# პირამიდების ძოლა

იტალიის სერია A-ს კლუბმა „უდინეზემ" იყიდა ეგვიპტელი ფეხბურთელი ჰაზემ იმამი, რომელსაც მეტსახელად პირამიდების ძოლას უწოდებენ. კონტრაქტი სამი წლით დაუდიათ, ფასზე კი არაფერი თქვეს.

21 წლის ჰაზემი შემტევი ნახევარმცველია. მან ეგვიპტის „ზამალექში" ბოლო ოთხ სეზონში 80-ზე მეტი გოლი გაიტანა. იგი თამაშის მანერითა და ტანით ძალიან ჰგავს „პარმას" ვარსკვლავს ჯანფრანკო ძოლას.

ჰაზემი, როგორც ჩანს, ევროპის ჩემპიონატის გმირის, გერმანელი ბირჰოფის მხარდამხარ ითამაშებს თავდასხმაში.

# რუსული კონტრაქტები

რუსეთის ნაკრების ახალმა მწვრთნელმა ბორის იგნატიევმა სიახლე დანერგა. გაზეთ „სპორტ ექსპრესის" ცნობით, მან ოცდათხუთმეტ ფეხბურთელს გაუგზავნა წინასწარი კონტრაქტი, სადაც მინიშნებულია ის თანხები, რომელთაც მოთამაშეები მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ჯგუფიდან გასვლის შემთხვევაში მიიღებენ. იქვე მიწერილია სადისციპლინო კოდექსი ანუ რუსეთის ნაკრების წევრთა უფლებანი და მოვალეობანი. ახლა იგნატიევი მოთამაშეთა პასუხს ელოდება. ამ, 35 კაციან სიაში შედიან: ოვჩინიკოვი („ლოკომოტივი"), სმეტანინი („დინამო"), ჩერჩესოვი („ტიროლი"); სოლომატინი, ხარლაჩევი, კოსოლაპოვი, ჩუგაინოვი (ყველა „ლოკომოტივი"), თეთრაძე, იანოვსკი, თედეევი, კანიშჩევი (ყველა „ალანია"), ნიკიფოროვი, ლედიახოვი (ორივე ხიხონის „სპორტინგი"), ბუშმანოვი, ხოხლოვი (ორივე ცსკა), ონოპკო („ოვიედო"), კოვტუნი, ჩერნიშევი (ორივე „დინამო"), ტერნავსკი („ტექსტილშჩიკი"), პოპოვი („კომპოსტელა"), კანჩელსკისი („ევერტონი"), კარპინი („ვალენსია"), მოსტოვოი („სელტა"), რადიმოვი („სარაგოსა"), ვერეტენნიკოვი, ნიდერგაუსი (ორივე „როტორი"), კეჩინოვი, ციმბალარი, ტიხონოვი (სამივე „სპარტაკი"), გერასიმენკო („როსტსელმაში"), კოლივანოვი („ბოლონია"), რადჩენკო („დეპორტივო"), ბესჩასტნიხი („ვერდერი"), სიმუტენკოვი („რეჯანა"), სალენკო („ისთანბულსფორი").

# ნაზარბაევის თასი

ალმაათაში გამართულ პრეზიდენტის თასის ფინალში ყაზახურმა „მუნაიშიმ" ესპანურ „რეალ სარაგოსას" პენალტებით 6:5 მოუგო და ჯილდოც მიიღო. მატჩის ძირითადი დრო 1:1 დამთავრდა, ანგარიში არც დამატებითში შეცვლილა.

## რუსეთი

გამოტოვებული მატჩები: ჟემჩუჟინა — კამაზი 3:0, ცსკა — ურალმაში 1:1, ტექსტილშჩიკი — როტორი 1:4

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ალანია | 21 | 14 | 4 | 3 | 40:20 | 46 |
| სპარტაკი | 21 | 12 | 6 | 3 | 38:16 | 42 |
| როტორი | 19 | 12 | 5 | 2 | 33:13 | 41 |
| დინამო | 21 | 11 | 7 | 3 | 33:17 | 40 |
| ცსკა | 21 | 11 | 6 | 4 | 31:19 | 39 |
| ტორპედო | 21 | 8 | 7 | 6 | 26:25 | 31 |
| ნოვგოროდი | 20 | 9 | 3 | 8 | 19:26 | 30 |
| ლოკომოტივი | 20 | 7 | 8 | 5 | 21:15 | 29 |
| ზენიტი | 20 | 8 | 4 | 8 | 21:20 | 28 |
| ბალტიკა | 20 | 6 | 8 | 6 | 23:21 | 26 |
| კრილია | 20 | 6 | 7 | 7 | 14:20 | 25 |
| როსტსელმაში | 19 | 6 | 6 | 7 | 36:31 | 24 |
| ჟემჩუჟინა | 21 | 6 | 4 | 11 | 21:34 | 22 |
| ჩერნომორეცი | 21 | 5 | 5 | 11 | 20:30 | 20 |
| კამაზი | 20 | 4 | 3 | 13 | 18:36 | 15 |
| ლადა | 19 | 3 | 5 | 11 | 9:28 | 14 |
| ურალმაში | 19 | 2 | 6 | 11 | 17:34 | 12 |
| ტექსტილშჩიკი | 21 | 1 | 8 | 12 | 11:26 | 11 |

ქეიფთაუნის დასავლეთი კონცხისა და სამხრეთი აფრიკის „ქურციკების" ებრაელი 10 ნომერი ჯოელ სტრანსკი დიდი პრეტორიელი ნაას ბოთას მემკვიდრედ ბარემ ხუთი წელია, რაც ითვლება, მაგრამ პერიოდულად სერიოზული ჩავარდნები მოსდის. შარშან ამ ბრძენმა ტაქტიკოსმა მსოფლიოს თასი სამშობლოს დიდებული არეკნით მოაგებინა, მაგრამ წელს ფორმა იმდენად დაკარგა, რომ **სამეულის სერიალის** წინ ნაკრებიდანაც დაითხოვეს და მასში მას შემდეგლა უხმეს, რაც ძირითადი 10 ნომერი ჰ ონიბალი დაშავდა. ჯოელმაც გაუმართლა „ქურციკების" უფროსობას — „ვოლაბებს" ერთბაშად 25 ქულა გაუტანა.

## სამეულის სერიალი

V ტური
შაბათი. 3 აგვისტო
ბლუმფონტეინი. ფრი სთეით სთედიუმი
38 ათასი მაყურებელი

| | | |
|---|---|---|
| **სამხრეთი აფრიკა** | 25 | (16) |
| **ავსტრალია** | 19 | ( 3) |

ქურციკები: სმოლი; ჯ. სვართი, მულდერი, ფენტერი, ჰენდრიქსი; სტრანსკი, ი. რუ (ფანდერვესტჰოიზენი, 59); დიურანი, ალენი, ბ. სვართი (თერონი, 40); აკერმანი (სტრაიდომი, 37), ენდრიუზი; პინარი (კაპიტანი), კრუგერი, ტაიხმანი. — ლ, გ და ხს: სტრანსკი

ვოლაბები: ბერქი (როფი, 40); თიუნი, ჰერბერთი, ჰოვარდი, ქემფიზი; ბოუენი, გრეგანი; ქრაული, ფოლი, პითი; ველბორნი, ილზი (კაპიტანი); ბრაიალი, ვილსონი, გევინი. — ლ: თიუნი; გ: ილზი; 4ს: ბერქი, ილზი (3)

მსაჯი ბრაიან სთერლინგი (ირლანდია)



# ბოთას მემკვიდრის 25 ქულა

**მასპინძლებს** — აფრიკელებს თამაში დაენიშნათ ნარინჯის თარხან სახელმწიფოდ ცნობილი ოლქის დედაქალაქ ბლუმფონტეინში, რომელიც პაიფელდტის ზეგანზე მდებარეობს, რის გამოც იქ ატმოსფერო გაუხშოებულია, ბურთი შორს მიფრინავს, მიუჩვეველ სტუმრებს კი მატჩის ბოლოსთვის სუნთქვა უჭირთ. „ფრი სთეით სთედიუმი" რესპუბლიკის სხვა სატესტო არენებთან შედარებით ნაკლებ მოსეირეს იტევს. ყველა ბილეთი მატჩამდე ორი კვირით ადრე გაიყიდა, სტადიონზე კი ხალხმა მისვლა თამაშის დაწყებამდე ექვსი საათით ადრე დაიწყო: ერთი, რომ სამხრეთელ ბუმბერაზთა ყოველი შერკინება უდიდესი მოვლენაა, და მეორეც, გამარჯვებული სერიალში მეორე ადგილს დაიბევებდა, ამასთან მასპინძლებს სიდნეიში ნაწვნევი მარცხის შემდეგ რევანში სურდათ.

ავსტრალიელები მასპინძლების რჩევით სანაპირო ქალაქ დურბანში ჩამოხდნენ, ბლუმფონტეინს კი თამაშის წინა დღით გადაფრინდნენ. სტუმრების უფროსობამ ახლაღა დაასკვნა, რომ სერიალის კალენდარი „ვოლაბებს" არ აწყობდათ: აბა, სადაური წესია, ამ სიშორეზე ერთი მატჩის სათამაშოდ ჩამოვიდეთ. სულ სხვაა ზელანდიელთა განრიგი, რომლებიც აფრიკაში აგვისტოს ბოლომდე დარჩებიან და იქ სრულფასოვან ტურნეს გამართავენო.

მართლაც, თუმც ავსტრალია და ზელანდია წინა შაბათს ბრისბენში ერთმანეთს ეთამაშნენ, სამხრეთ აფრიკასთან შეხვედრა კი ავსტრალიას ზელანდიაზე ერთი კვირით ადრე უწევდა, ზელანდიელები აფრიკას ავსტრალიელებზე ადრე გაფრინდნენ და თან უჩვეულოდ რიცხვმრავალი — 36-კაცა გუნდი წაიყვანეს.

საქმე ისაა, რომ „ოლ ბლექსი" ამჯერად ორ, მკვეთრად გამიჯნული ნაწილისგან შედგება: ერთია სატესტო თხუთმეტეული, მეორე კი ის 21 კაცი, ვინაც შუა კვირაში — სამშაბათობით პროვინციულ გუნდებს ეთამაშება. ამათგან, უფროსობის მტკიცებით, მომავლის „ოლ ბლექსელები" უნდა შეირჩნენ, ტესტებისთვის შეგულვებული 15 კაცი კი სამშაბათობით რეზერვშიც არ იჯდება, რათა, ღმერთმა დაიფაროს და არ დაშავდეს. ერთი სიტყვით, ახლავე ცხადია, რომ სერიალის შემოღებამ აზრი დაუკარგა ტრადიციულ ტურნეს, საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე საერთაშორისო რაგბის ლამის ერთადერთი ფორმა რომ იყო.

**„ოლ ბლექსთან"** ბოლო წუთზე წაგების შემდეგ „ვოლაბებმა" მორიგი წმენდა მოაწყვეს. შემთხვევითი როდი იყო, რომ ზელანდიელთა მწვრთნელმა ჯონ ჰართმა თამაშის შემდეგ მოსწრებულად შენიშნა, ავსტრალიის უკანა ხაზის თამაშით ძალზედ კმაყოფილი ვარ; ისინი რომ არა, ალბათ ვერ მოვიგებდითო.

სელექტორებს 10 ნომრად არ მოეწონათ პატ ჰოვარდი, მაგრამ ის კი შენიშნეს, რომ ეს ბიჭი მეტოქეებს მაგრად ბოჭავდა; ამიტომ 12 ნომრად გადაიყვანეს, 10 ნომრად კი ზელანდიასთან განადგურების შემდეგ დაწუნებული ბოუენი ალადგინეს. გაითვალისწინეს მედიისა და ქომაგების კრიტიკაც და 13 ნომრად დააყენეს ქვინზლენდელი დანიელ ჰერბერთი, ოლონდ რადგან დიდ დევიდ ქემფიზის გუნდიდან ვერ ამოაგდებდნენ — ეს ვეტერანი 99-ე კეპს იხვეჭდა, ისევ 20 წლის როფი გასწირეს, რომელზეც ამბობენ, მომავალი ქემფიზიაო.

სხვა ცვლილებები შერკინებაში მოხდა. ტერფი მოურჩა ბურჯ ქრაულის. მეორეხაზელ გერიქ მორგანს, პირიქით, „ოლ ბლექსთან" ხელი მოტყდა და სეზონის ბოლომდე გავარდა. მისი ადგილი ახალბედა ჯონ ველბორნს ერგო. 8 ნომრად წელს პირველად უხმეს ვეტერანს, ახალი სამხრეთი უელსის კაპიტან თიმ გევინს. აქაც რუსულ ჯარში ფეხმოკიდებული „დედოვშჩინის" წესები ამოქმედდა: ტონგელი მანუ ალმოჩნდა დაბალი ლობე — იგი „მოტეხეს" თხუთმეტეულიდან.

### სამეულის სერიალი

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზელანდია | 3 | 3 | 0 | 0 | 90: 42 | 8- 3 | 13 |
| სამხ. აფრიკა | 3 | 1 | 0 | 2 | 52: 55 | 3- 3 | 6 |
| ავსტრალია | 4 | 1 | 0 | 3 | 71:116 | 5-10 | 6 |

ქულების დარიცხვის წესი ზე-12-ის ანალოგიურია. მოგება 4 ქულად ფასობს, ფრე — 2-ად, არაუმეტეს 7 ბურთით წაგება ანაც მეოთხე ლელოს გატანა — თითო პრემიალურ ქულად

ბოლო მატჩი

10. VIII სამხ. აფრიკა — ახალი ზელანდია

**აფრიკელები** იდუმლად ემზადებოდნენ. მათმა ახალმა მწვრთნელმა ანდრე მარკპრაფმა წესად გაიხადა შემადგენლობის გასაიდუმლოება და კვირაში შეიდი პარასკევის ქონა. ეს კიდევ ერთი, დიდი ხნის სარაგბო ტრადიციის შელახვაა, რაც „ვოლაბთა" მწვრთნელ გრეგ სმითს ჭკუაში არ დაუჯდა და მასპინძლებს უსაყვედურა, რატომ არ ფიქრობთ თამაშის პროგრამის შემდგენლებზე, ძალაუნებურად რომ ატყუებინებთ მკითხველს, ანაც რატომ გავიწყდებათ ნაკრების მოთამაშეთა უზენაესი უფლება, ერმა მათ გამო დანამდვილებით რომ იცოდეს, ეს ბიჭი ტესტში ითამაშებსო.

და მაინც, „ქურციკთა" ბანაკიდან გამოჟონა ინფორმაციამ, რომ ვერ ითამაშებდნენ მცველი ანდრე ჟუბერი, ჰენრი ჰონიბალი და ბურჯი მარიუს ჰურტერი. ჟუბერსა და ჰონიბალს არა უჭირდათ, მაგრამ მარკპრაფმა დაადგინა, ბოლომდე მოუშუშებელი ტრავმები რომ გაირთულონ, მერე ზელანდიასთან ველარ ითამაშებენო. გარდა ამისა, აფრიკელები მოერიდნენ სკანდალს და კვაჭად არ დაასახელეს 29 წლის ჩრდილოეთ ტრანსვაალელი ჰენრი ტრომპი, ვინაც 1993 წელს მამულში ცემით სული ამოხადა ზანგ მოჯამაგირეს, აქაო და სხვა მუშას ფული რატომ მოპარეო.

ტრომპი და მამამისი მაშინ გაასამართლეს და ოთხი წლით პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ მერე ორი თვის შემდეგ გაათავისუფლეს. ნაკრებში მისი მიწვევა რომ გამოცხადდა, საზოგადოება ალშფოთდა, „ქურციკები" ერის სახეა, მკვლელს კი მათთან რა ესაქმებაო. აქ მოხდა სასწაული: თავად ბობოლა ზანგი პოლიტიკოსები — მულულეკი ჯორჯი და სთივ შვეტე გამოექომაგნენ ტრომპს, კაცს სასჯელი მოუხდია და ახლა სიკვდილამდე რატომ უნდა ვაყვედროთო.

მასპინძლებმა „ვოლაბებს" მატჩამდე კიდევ ერთი სიურპრიზი შესთავაზეს. მათი რაგბის კავშირის თავკერძა პრეზიდენტი, დოქტორი ლუი ლეიტი ბრიტანეთიდან დაბრუნდა და გამოაცხადა, ავსტრალიასთან და ზელანდიასთან მატჩებს თამბაქოს კომპანია „როზმანსი" დაგვისპონსორებსო. ავსტრალიელებისთვის ეს თავზე ზარის დაცემას უდრიდა, რადგანაც მათს ქვეყანაში კანონითაა აკრძალული სპორტში თამბაქოს მწარმოებლების მიზიდვა. ამის გამო რაგბის კონკურენტმა ლიგამ წელს თავისი უმთავრესი მეოხი — „ვინფილდი" დაკარგა.

**თამაში** საშინელ ტემპში გაჩაღდა. მე-3 წუთზე მეთიუ ბერქმა ცენტრის გალმიდან გახსნა ანგარიში, მაგრამ სტრანსკიმ მე-5 წუთზე გაათანაბრა. მე-15 წუთზე სტრანსკიმ ბურთი ძელს მოარტყა. როგორც მერე გაირკვა, ამ დღეს ეს იყო მისი ერთადერთი შეცდომა.

„ქურციკები" შეხმატკბილებული თამაშობდნენ, ბურთს იერიშისას 5-6 ფაზის მანძილზე [illegible] სტრანსკი კი პრაქტიკულად დიდებულად [illegible]. მერე მან მეორე საფარიმოც შეაგდო. ზედ შესვენების წინ კი [illegible] შესვენების შემდეგ [illegible]ზე 50 მეტრი ირბინა და თუმც ბერქმა ლელოსთან დასცა, სტრანსკისთვის ბურთის მიწოდება მაინც მოახერხა. ბერქი დაშავდა და შეცვალეს.

დაშავდნენ „ქურციკებიც". გაირკვა, რომ მცველად მოთამაშე ჯეიმზ სმოლსა და ბურჯ ბალი სვართს ტვინი შერყევიათ, აკერმანს კი მუხლის მყესები დაუწყდა და სეზონის ბოლომდე გავარდა. „ოლ ბლექსთან" თამაშისას აფრიკელები სამივეს ერთობ მოისაკლისებენ.

ბერქისგან დამრტყმელობა კაპიტანმა ჯონ ილზმა გადაიბარა, მაგრამ „ქურციკებმა" სხვაობა შეინარჩუნეს. თამაშის დასრულებას 14 წუთი რომ უკლდა, ანგარიში 25:9 იყო. აქ „ვოლაბები" გადაირივნენ. 73-ე წუთზე ჯონა ლომუს რისხვამ — 19 წლის ქვინზლენდელმა გარემარბმა ბენ თიუნმა ლელო კარს უკან გაიტანა. სხვაობა 6 ქულამდე შემცირდა, თანაც მსაჯმა დროს ოთხნახევარი წუთი ნაამატა. „ქურციკები" მაინც არ გატყდნენ და შინ ზედიზედ მე-13 თამაში მოიგეს.

**ზელანდია** დღეს იწყებს 8-მატჩიან აფრიკულ ტურნეს. ტესტ-გუნდი შაბათს, ქეიფთაუნში გამართავს სერიალის ბოლო მატჩს, მერე კი ნაკრებს კიდევ სამჯერ ეთამაშება: 17 აგვისტოს დურბანში, 24 აგვისტოს — პრეტორიაში, 31 აგვისტოს კი — იოჰანესბურგში. „ოლ ბლექსს" აფრიკაში აქამდე არასოდეს მოუგია ტესტ-სერია. რაც შეეხება მეორე შემადგენლობას, იგი ეთამაშება ოთხ რიგითს პროვინციას — ბოლანდს, ალმოსავლეთ კონცხს, დასავლეთ ტრანსვაალსა და გრიკვალენდს. ამათი ძლევა ზელანდიელებს არ უნდა გაუჭირდეთ.

**ნიკო ვეფხვაძე**

27 ივლისს, ზელანდიამ ბრისბენში რომ სძლია ავსტრალია, დასრულდა სამხრეთი ზღვისრეთის კუნძულთა ჩემპიონატიც. ნუკუალოფაში ტონგამ უმასპინძლა ფიჯს და საწყის 50 წუთში 6 უპასუხო ლელოც გაუტანა (პალენაშა, ტაუმალოლო, მაპონი, მაფი, ტალი, ე. მანუ). მატჩი ასე რომ დასრულებულიყო, ლელოთა უკეთესი სხვაობით ჩემპიონი ტონგა გახდებოდა, მაგრამ დარჩენილ დროში ფიჯი ათამაშდა და გარემარბებმა ტულევუმა და ბარიმ გაიტანეს ლელოები, რაც გადამწყვეტი გამოდგა. ტონგამ თუმც მოიგო 32 (22) (6ლ, გ) : 18 (3) (2ლ, გ, 2ს), ჩემპიონი მაინც ფიჯი გახდა.

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ლ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფიჯი | 2 | 1 | 0 | 1 | 78:32 | 10- 6 | 2 |
| ტონგა | 2 | 1 | 0 | 1 | 47:48 | 9- 6 | 2 |
| სამოა | 2 | 1 | 0 | 1 | 30:75 | 4-11 | 2 |


**არიქა!**

ვასრულებთ ყველა სახის: ელექტრო, გაჯისა თუ სამღებრო („სამალიარო") სამუშაოებს, თანაც შეღავათიან ფასებში. ხარისხი გარანტირებულია.

ტელ: 95-74-72 (დღის 3 საათის შემდეგ). იკითხეთ თემური ან ბიჭიკო


## ჩოგბურთი

## ოლიმპიური

### ვაჟები

მე-3 ადგილისთვის. ლეანდერ პაესი (ინდოეთი) — ფერნანდო მელიგენი (ბრაზილია) 3:6, 6:2, 6:4. ბრაზილიელმა მელიგენიმ, რომელმაც ამ ტურნირზე ბევრი ცნობილი სპორტსმენი დაამარცხა, ინდოელთა პირველი ჩოგნის წინააღმდეგობის დაძლევა ვერ მოახერხა.

ფინალი. ანდრე აგასი (აშშ) — სერხი ბრუგერა (ესპანეთი) 6:2, 6:3, 6:1. ანდრე აგასიმ, რომელმაც წელს არაერთხელ განაცხადა, ჩემთვის ამ სეზონში მთავარი ჯილდო ოლიმპიური ოქროს მედალი იქნებაო, დანაპირები შეასრულა. საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ორგზის გამარჯვებულმა სერხი ბრუგერამ ვერცერთ სეტში ვერ გაუწია სერიოზული წინააღმდეგობა ტურნირის ფავორიტს. აგასიმ ლამაზად, სამ ხელში გაიმარჯვა და ძალზე გაახარა თანამემამულენი, უპირველესად კი, რა თქმა უნდა, საყვარელი ბრუკ შილდსი.




# ერთი თამაშის ორი სახე

### ვაჟი წყვილები

მე-3 ადგილისთვის. მარკ გელნერი და დავიდ პრინოსილი (გერმანია) — პაულ ჰაარჰიუსი და იაკო ელტინგი (ჰოლანდია) 6:2, 7:5

ფინალი. თოდ ვუდბრიჯი და მარკ ვუდფორდი (ავსტრალია) — ნილ ბროდი და თიმ ჰენმანი (ბრიტანეთი) 6:4, 6:4, 6:2. ბრიტანელი ჩოგბურთელები კარგა ხანია არავის უხილავს სერიოზული საჩოგბურთო ტურნირების პრიზიორთა შორის. მით უფრო გასაკვირი იყო მათი წყვილის ფინალში მოხვედრა. თუ ჰენმანმა გულშემატკივრებს თავი ბოლო ორი უიმბლდონიდან დაამახსოვრა, 29 წლის ბროდზე სპეციალისტების გარდა არავის სმენოდა. ამიტომ იყო, უცილობელ ფავორიტებად მსოფლიოს უპირველეს წყვილად მიჩნეული ავსტრალიელები რომ ითვლებოდნენ. ვუდფორდმა და ვუდბრიჯმა ეს ძალზე იოლად დაამტკიცეს.

### ქალები

მე-3 ადგილისთვის. იანა ნოვოტნა (ჩეხეთი) — მერი ჯო ფერნანდესი (აშშ) 7:6, 6:4.

ფინალი. ლინდზი დავენპორტი (აშშ) — არანჩა სანჩეს-ვიკარიო (ესპანეთი) 7:6, 6:2. დავენპორტი მთელი მატჩის განმავლობაში ისე თამაშობდა, თითქოს იგი იყო ფავორიტი და არა სანჩესი. ყველაზე კრიტიკულ მომენტებშიც ამერიკელი არ კარგავდა საკუთარ თამაშს. სანჩესმა ამას ვერაფერი მოუხერხა. მოკლედ, აქაც, ისევე როგორც ვაჟებში, განმეორდა ამერიკულ-ესპანური ფინალი და იგიც ესპანელის დამარცხებით დამთავრდა.

### ქალი წყვილები

მე-3 ადგილისთვის. არანჩა სანჩეს-ვიკარიო და კონჩიტა მარტინესი (ესპანეთი) — მანონ ბოლეგრაფი და ბრენდა შულცი (ჰოლანდია) 6:1, 6:3

ფინალი. ჯიჯი ფერნანდესი და მერი-ჯო ფერნანდესი (აშშ) — იანა ნოვოტნა და ჰელენა სუკოვა (ჩეხეთი) 7:6, 6:4. იანა ნოვოტნა და მერი-ჯო ფერნანდესი კვლავ შეხვდნენ ერთმანეთს ბრინჯაოს მედლებისთვის, მაგრამ ამჯერად პარტნიორებთან ერთად. მერი-ჯომ მოგვარე ჯიჯისთან ერთად დაამარცხა იანა და მისი მეწყვილე ჰელენა სუკოვა ზუსტად იმ ანგარიშით, როგორითაც ერთეულთა შეხვედრაში დამარცხდა.

### მიქსთი

პროგრამაში არ ყოფილა (!?)

### ანტი-ოლიმპიური

ოლიმპიადის ბოლო კვირაში პროფ-ტურის ორი სარფიანი ტურნირი გაიმართა. ერთი ამსტერდამში, სადაც სპონსორმა „გროლშმა" 475 ათასი დოლარი დაანესა საპრიზო ფონდად, მეორე კი — ლოს-ანჯელესში. იქ, „ინფინიტის" ტურნირის ჯამური ჯილდო „სულ რაღაც" 328 ათასი იყო, მაგრამ ამერიკის შეჯიბრმა ევროპულზე უკეთესი შემადგენლობა მაინც მიიზიდა.

ლოს-ანჯელესში განთქსილთა პირველი ოთხეულში მოხვდნენ მაიქლ ჩანგი (აშშ), რიხარდ კრაიჩეკი (ჰოლანდია), თომას ენკვისტი (შვედეთი) და მიხაელ შტიხი (გერმანია). უიმბლდონის გამარჯვებულ კრაიჩეკს, წესითა და რიგით, თავისი ქვეყნის პირველობაზე უნდა ესპარეზა, მაგრამ მოიმიზეზა, აშშ-ის ღია პირველობისთვის ვემზადები და ამიტომ ლოს-ანჯელესში თამაში მირჩევნიაო. რაც შეეხება მსოფლიოს მეორე ჩოგანს — ავსტრიელ თომას მუსტერს, ამან ოდენ მონაწილეობისათვის „გროლშს" 170 ათასი მოთხოვა, მაგრამ რომ არ მისცეს, აღარც უთამაშია. ამის შემდეგ ჩილელი მარსელო რიოსი პირველი ნომერი გახდა, ალბერტო კოსტა (ესპანეთი) კი — მეორე.

ლოს-ანჯელესში შტიხი პირველსავე წრეში გააგდო ავსტრალიელმა სქოთ დრეიპერმა 6:3, 6:4, ენკვისტი (მე-11 ჩოგანი) კი მერვედფინალში შეიწირა 262-ე ჩოგანმა ალექს ობრაიენმა 6:4, 4:6, 7:5. მეოთხედფინალში დრეიპერს 6:3, 6:4 მოუგო შვედმა ვეტერანმა სტეფან ედბერგმა, მაგრამ მერე თავადაც წააგო — ჩანგთან 3:6, 2:6. მეორე ნახევარფინალში კრაიჩეკმა დაამარცხა სენდონ სთოლი (ავსტრალია) 6:3, 6:1.

ფინალმა საათსა და 12 წუთს გასტანა. კრაიჩეკს უამრავი შეცდომა მოუვიდა და 4:6, 3:6 დამარცხდა. ჩანგი მეოთხედ თამაშობდა ლოს-ანჯელესურ ფინალს და პირველად გაიმარჯვა, რისთვისაც 43 ათასი დოლარიც ერგო.

რიოსი ატლანტას იმიტომ არ გაემგზავრა, ამსტერდამული ტიტული რომ დაეცვა, მაგრამ მერვედფინალშივე 0:6, 5:7 წააგო ანდრეა ვოინეასთან (რუმინეთი). ამან ნახევარფინალი 3:6, 4:6 წააგო 30-ე ჩოგან ფრანსისკო კლავეტთან (ესპანეთი). მეექვსე ნომრად განთესილმა ესპანელმა კვირას ფინალიც მოუგო 68-ე ჩოგანს, მაროკოელ იუნის ელ აინუის 7:5, 6:1, 6:4.


**სარბიელი**
სპორტული გაზეთი
გამოდის სამშაბათობით, ხუთშაბათობითა და შაბათობით

მთავარი რედაქტორი
ზურაბ მექველია

რედაქტორი
თამაზ მიგრიაული

სარედაქციო კოლეგია:
ილია ბაბუნაშვილი
ვახტანგ ბზიკაძე
ზაალ გიგინეიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
მამუკა კვარაცხელია
მერაბ რატიშვილი

კომერციული დირექტორი
გიორგი ოქრომჭედლიძე

გამომცემელი
ზურაბ ფოცხვერია

დამფუძნებელი: შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება — საგამომცემლო ფირმა „მარდი"
რედაქციის მისამართი: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42, II კორპუსი, IV სართული. წერილებისა და სხვა საფოსტო გზავნილებისთვის: თბილისი - 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29



რეკლამის მოსათავსებლად დარეკეთ
95 26 90